სამედიცინო გაზეთი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
უნივერსიტეტის გამოცემა
გამოდის 1957 წლიდან
№ 10 (369) დეკემბერი 2023 წელი

2024
გილოცავთ!

გილოცავთ ახალ 2024 წელს!

პატივცემულო კოლეგებო, სტუდენტებო, ქალბატონებო და ბატონებო! სულ მალე შემოაბიჯებს ახალი, 2024 წელი. ტრადიციულად, ახალი წლის დადგომას სიხარულით და იმედით ვეგებებით, რადგან ყოველი ახალი წელი სასიამოვნო სიახლეებისა და დადებითი ცვლილებების მოლოდინთან ასოცირდება. ყველა ეს მოლოდინი გამართლებულიყოს თითოეული თქვენგანისთვის!

უპირველესად, მინდა, ვახსენო საყოველთაო სიხარულის მიზეზი, რომელიც, ნამდვილად, მოსალოცი გახლავთ: **2023 წლის 14 დეკემბერს საქართველომ ევროპის კავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი მიიღო. ეს ახალი შესაძლებლობა და ახალი გამოწვევაა! მჯერა, ამ მიღწევის შემდეგ, განვითარების ახალ ეტაპზე გადავა ქვეყანაც და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტიც!**

ცვლილებები, მართლაც, ბევრი და კარგი იქნება, მით უმეტეს, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის განვითარების კურსი ამის საფუძველს იძლევა.

ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტების, პროფესორ-მასწავლებლებისა და თანამშრომლებისთვის 2024 წლის მოლოდინი, ასევე, უკავშირდება ახალი რექტორის და კანცლერის არჩევის შემდეგ პირველი ერთობლივი მუშაობის დასაწყისს. ჩვენ, გუნდური შრომითა და ძალისხმევით, მჯერა, წარმატებით გავართმევთ თავს ყველა გამოწვევას; შევძლებთ, არ დავკარგოთ არცერთი მონაპოვარი და მნიშვნელოვანი ტრადიცია და სვლა გავაგრძელოთ მომავლისკენ, ჩვენი საერთო მიზნების განსახორციელებლად.

მინდა, დიდი პატივისცემით და სიყვარულით მოგილოცოთ ახალი წლის დადგომა!.. გისურვოთ წარმატებები სწავლასა და პროფესიულ საქმიანობაში, დიდი ბედნიერება პირად ცხოვრებაში. ჩვენს Alma Mater-ს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს, მინდა, ვუსურვო განვითარების შეუქცევადი პროცესის მშვიდად, ნაბიჯ-ნაბიჯ გაგრძელება და წინსვლა!

პროფესორი
ირაკლი ნატროშვილი,
თსსუ-ის ახლად არჩეული რექტორი

ინფორმაცია

თსსუ-ის საარჩევნო კომისიის განცხადება რექტორის არჩევნების შედეგების შესახებ

2023 წლის 30 ნოემბერს სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ ფარული კენჭისყრით რექტორად აირჩია პროფესორი **ირაკლი ნატროშვილი**.

პროფესორი ირაკლი ნატროშვილი სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის უფლებამოსილებას განახორციელებს 2024 წლის 13 თებერვლიდან.

თსსუ-ის საარჩევნო კომისიის განცხადება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერის) დამტკიცების შესახებ

2023 წლის 3 ნოემბერს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ, თსსუ-ის აკადემიური საბჭოს წარდგინებით, ფარული კენჭისყრით ადმინისტრაციის ხელმძღვანელად (კანცლერად) დაამტკიცა **ალექსანდრე ბუაჩიძის** კანდიდატურა.

ალექსანდრე ბუაჩიძე ადმინისტრაციული ხელმძღვანელის (კანცლერის) უფლებამოსილებას განახორციელებს 2024 წლის 24 იანვრიდან.

ჟურნალი

დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის სტუდენტთა ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენცია

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის XI-XII სემესტრელმა სტუდენტებმა ყოველწლიურ სამეცნიერო კონფერენციაზე საკუთარი კვლევის შედეგები, კერძოდ, თხუთმეტი ნაშრომი წარმოადგინეს.

კონფერენციას ესწრებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე, ბატონი ნოდარ პაპუკაშვილი. ბატონმა ნოდარმა აღნიშნა, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა არის ხარისხიანი სამედიცინო განათლების საუკეთესო და წარმატებული მაგალითი.

– „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, თავისი ასწლიანი ისტორიით, არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ მთელი რეგიონისთვის აკეთებს იმ საქმეს, რასაც განათლების და მეცნიერების სამინისტრო მხარს უჭერს ინტერნაციონალიზაციის განვითარების კუთხით. დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა არის საუკეთესო და წარმატებული მაგალითი, როგორ უნდა მისცე ხარისხიანი სამედიცინო განათლება სტუდენტს.

დღეს გავეცანით ძალიან მნიშვნელოვან კვლევებს, რომელიც ამ პროგრამის ფარგლებში განხორციელდა. ასეთ პროექტებს მუდმივად ექნება დიდი მხარდაჭერა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხრიდან“, – განაცხადა მინისტრის მოადგილემ.

აღნიშნული პროგრამის კურიკულუმი ითვალისწინებს სტუდენტებისთვის მეცნიერული კვლევის უნარების გაღვივებას და მათ დასწავლას.

– „მეცნიერული უნარი გულისხმობს პრობლემებისადმი გლობალურ მიდგომას: პრობლემის გარშემო არსებული ინფორმაციის მოძიებას, ანალიზს, დასკვნების გამოტანას და მსჯელობას და ეს პროცესი საბოლოოდ სრულდება სამეცნიერო სტატიის მომზადებითა და მისი გამოქვეყნებით. ეს კონფერენციაც კვლევის დასწავლის ერთ-ერთი სტადიაა, რომელზეც სტუდენტები თავიანთი ნამუშევრების პრეზენტაციებს აკეთებენ. მინდა აღვნიშნო, რომ მათ ძალიან საინტერესო იდეები წარმოადგინეს. მიხარია, რომ სტუდენტები ასეთი დიდი პასუხისმგებლობით მიუდგნენ ამ საკითხებს. ეს უნარები მათი წარმატებული კარიერის პირობა გახდება“, – განაცხადა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ახლად არჩეულმა რექტორმა (იგი რექტორის უფლებამოსილებას განახორციელებს 2024 წლის 13 თებერვლიდან), პროფესორმა ირაკლი ნატროშვილმა.

აღსანიშნავია, რომ თსსუ-ში გამართულ კონფერენციაზე სტუდენტების მიერ წარმოდგენილი ნაშრომები მაღალი ხარისხის თანამედროვე კვლევებად შეფასდა.

ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის საგანმანათლებლო პროგრამების დირექტორმა, თსსუ-ის პროფესორმა, არჩილ უნდილაშვილმა, აღნიშნა: „მეცნიერება მედიცინის პროგრესის მნიშვნელოვანი ნაწილია. მოხარულები ვართ, რომ ჩვენი სტუდენტები შესანიშნავად ართმევენ თავს ამ პროცესს. დღეს ჩვენ ვნახეთ, რომ აქ წარმოდგენილმა ნაშრომებმა ძალიან დიდი მოწონება დაიმსახურა. შეიძლება ითქვას, რომ სტუდენტების სამეცნიერო პრეზენტაციებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. დარწმუნებული ვარ, ჩვენს სტუდენტებს ძალიან მალე უფრო ფართო ასპარეზზე მოუწევთ მსგავსი სამუშაოების განხორციელება და მოხარული ვარ, რომ ის გამოცდილება, რომელიც მათ დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის ფარგლებში მიიღეს, ხელს შეუწყობს მათი პროფესიონალიზმის გაღრმავებას, განვითარებას და შემდგომ აღიარებას“.

კვლევის ამ ეტაპზე, რომელიც ორი სემესტრის განმავლობაში ფაზებად ხორციელდება, სტუდენტებს კოორდინირებას უწევენ თსსუ-ის პროფესორ-მასწავლებლები, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულნი კვლევით-საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაში.

– „თანამედროვე მედიცინა არ არსებობს კვლევის გარეშე. ამ მოდულით ჩვენ ვცდილობთ, რომ სტუდენტებს გამოვუმუშაოთ ყველა ის უნარი, რაც თანამედროვე ექიმს სჭირდება კვლევის განხორციელების ან მისი გამოყენებისთვის პრაქტიკულ საქმიანობაში.

აღნიშნული კურსი სტუდენტებს ეხმარება ისეთი უნარების განვითარებაში, როგორიცაა: კრიტიკული აზროვნება, მტკიცებულებებზე დაფუძნებული მედიცინის პრაქტიკაში გამოყენება, კომუნიკაცია და სხვა. ამ უნარების განვითარება, შესაბამისად, უკავშირდება ჯანდაცვის სისტემის ხარისხის გაუმჯობესებას და კრიტიკულად მნიშვნელოვანია თანამედროვე ექიმის პროფესიონალად ჩამოყალიბებისთვის“, – განაცხადა დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორმა, ასოცირებულმა პროფესორმა ეკა ეკალაძემ.

„სტუდენტები დიდი ენთუზიაზმით ეკიდებიან სამეცნიერო კვლევებზე მუშაობას, კურსის განმავლობაში ჩვენ მათ რამდენჯერმე ვაძლევთ კრიტიკულ შეფასებას და ვეხმარებით, რათა ხარისხიანი კვლევის შედეგები მიიღონ.

მადლობა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის ხელმძღვანელებს იმისთვის, რომ საშუალება გვეძლევა, მსგავსი ტიპის სამეცნიერო აქტივობები ჩავატაროთ“, – აღნიშნა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ასოცირებულმა პროფესორმა, ,,აღმოჩენის ფაზის“ კოორდინატორმა, ნონა ჯანიკაშვილმა.

კონფერენციის ბოლოს სტუდენტებმა სამეცნიერო კვლევებში ჩართულობის მნიშვნელობაზე ისაუბრეს და აღნიშნეს, რომ დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის ფარგლებში განხორციელებული სამეცნიერო კვლევების ჩატარება არის პროფესიონალ ექიმად ჩამოყალიბების ერთ-ერთი საფუძველი.

„ვფიქრობ, კურსის განმავლობაში შეძენილი ცოდნა და მიღებული გამოცდილება სამეცნიერო კვლევის წარმოებისა თუ მისი გამოყენების შესახებ დაგვეხმარება კონკრეტული სამედიცინო შემთხვევების, ასევე მათი გართულებების უკეთესად მართვაში. ვფიქრობ, ყველა სტუდენტი აქტიურად უნდა იყოს ჩართული ასეთ კვლევებში, რადგან ეს არის სამედიცინო სფეროს განვითარების, ასევე ჩვენი პროფესიონალ ექიმებად ჩამოყალიბების საფუძველი“, – განაცხადა თსსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის სტუდენტმა ელენე შავგულიძემ.

კონფერენციის დასკვნით ნაწილში გამოვლინდნენ საუკეთესო პოსტერისა და მოხსენების ავტორები.

TSMU.EDU

სტუდენტური პროექტის – „ფიზიკური რეაბილიტაციის გავლენა საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემასა და პოლიტიკაზე“ – წარდგენა

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფიზიკური რეაბილიტაციის პოლიტიკისა და სტრატეგიული მართვის დეპარტამენტში სტუდენტური პროექტის – „ფიზიკური რეაბილიტაციის გავლენა საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემასა და პოლიტიკაზე“ – წარდგენა გაიმართა.

ღონისძიება ჩატარდა კენ ვოლკერის სახელობის სამედიცინო რეაბილიტაციის საუნივერსიტეტო კლინიკაში და ესწრებოდნენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ახლად არჩეული რექტორი, სამედიცინო რეაბილიტაციისა და სპორტული მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, კენ ვოლკერის სახელობის სამედიცინო რეაბილიტაციის საუნივერსიტეტო კლინიკის დირექტორი, პროფესორი ირაკლი ნატროშვილი, ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი ლელა მასხულია, დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ასოცირებული პროფესორი ეკა ეკალაძე, დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის კონსულტანტი, ფიზიკური რეაბილიტაციის პოლიტიკისა და სტრატეგიული მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი არჩილ უნდილაშვილი, ასოცირებული პროფესორი ირინა კაპეტივაძე, მოწვეული მასწავლებელი ქეთევან ბიბილაშვილი.

ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის მეოთხე სემესტრის სტუდენტებმა ისაუბრეს რეაბილიტაციის მნიშვნელობაზე; თუ რა გავლენა აქვს ამ სფეროს მედიცინის, ჯანდაცვის, სპორტის, კულტურის, ეკონომიკის, განათლებისა და გარემოს განვითარებაზე. ასევე, განიხილეს რეაბილიტაციის როლი როგორც ინდივიდისთვის, ისე – ოჯახისთვის, სოციუმისთვის და ქვეყნისთვის. მათ ერთი სემესტრის მანძილზე გამოიკვლიეს საზოგადოების დამოკიდებულება რეაბილიტაციის როგორც სპეციალობის შესახებ, ასევე, ჩაატარეს სიტუაციური ანალიზი ადაპტირებულ გარემოზე, შეაფასეს თბილისში არსებული გარემო, ქუჩები, შენობები, ტრანსპორტი და კენ ვოლკერის სახელობის სამედიცინო რეაბილიტაციის საუნივერსიტეტო კლინიკა, მოიძიეს და დაამუშავეს უცხოურენოვანი ლიტერატურა და საბოლოოდ პრეზენტაციების სახით წარმოადგინეს მათი თვალით დანახული რეაბილიტაციის როლი, პაციენტის ჯანმრთელობის, ოჯახის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის და, ზოგადად, ქვეყნის ეკონომიკაზე.

სტუდენტებმა განიხილეს ქვეყანაში ბოლო წლებში განხორციელებული რეგულაციები და წამოჭრეს ისეთი პრობლემატური საკითხები, როგორიცაა ცნობადობის ნაკლებობა რეაბილიტაციის შესახებ, საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპები, სერვისების და ხელმისაწვდომობის არარსებობა.

პროფესორმა არჩილ უნდილაშვილმა აღნიშნა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის დროულად მიიღონ ინფორმაცია ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა რეაბილიტაციის როლი ჯანდაცვის სისტემაში, პოლიტიკასა და მართვის პრინციპებში.

სტუმრებმა დადებითი შეფასება მისცეს წარმოდგენილ პრეზენტაციებს. აღნიშნეს, რომ სტუდენტები სწორად აფასებენ რეაბილიტაციის პოლიტიკაზე მოქმედ ფაქტორებს, შეუძლიათ პაციენტის სარეაბილიტაციო მართვაზე სხვადასხვა საკანონმდებლო და ფინანსური მარეგულირებელი პოლიტიკის გავლენის სწორი ანალიზი.

გილოცავთ ახალ 2024 წელს!

მალე დადგება 2024 წელი, წელი, რომელსაც ასე ხშირად ვახსენებდით, როცა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მომავალზე ვსაუბრობდით. შეგახსენებთ, რომ სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) და უცხოეთში მედიცინის პროგრამების კურსდამთავრებულთა საგანმანათლებლო კომისიის (ECFMG - Educational Commission For Foreign Medical Graduates - ეს ამერიკული ორგანიზაციაა) ერთობლივი გადაწყვეტილებით, 2024 წლიდან, ევროატლანტიკურ სივრცეში აღიარებული იქნება დიპლომირებული მედიკოსის მხოლოდ ის პროგრამები, რომელთაც ექნებათ საერთაშორისო აკრედიტაცია. ამ უმნიშვნელოვანეს განაცხადთან დაკავშირებით, მინდა კიდევ ერთხელ აღვნიშნო, რომ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან მოქმედმა აკრედიტაციის საბჭომ, სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) მიერ აღიარებული უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტების, სამედიცინო პროგრამების დარგობრივი მახასიათებლების და პროცედურების მიხედვით, 2021 წლის ივნისში, ყველა სტანდარტში უმაღლესი შეფასებით, საერთაშორისო აკრედიტაცია მიანიჭა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ოთხივე საგანმანათლებლო პროგრამას: დიპლომირებული მედიკოსის ქართულ, ინგლისურ, რუსულენოვან პროგრამებს და დიპლომირებული მედიკოსის ამერიკულ პროგრამას.

ჩვენ მომზადებული ვხვდებით ამ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას, შესაბამისად, პროფესიული ზრდის პლაცდარმი კიდევ უფრო ძლიერი და მყარი გახდება, შესაძლებლობები გაფართოვდება და სამოღვაწეო არეალი მსოფლიოში არაფრით იქნება შეზღუდული!

ეს ჩვენი – თსსუ-ელების დაუღალავი შრომის და მიზნისკენ განუწყვეტელი სვლის შედეგია.

გასულ წელსაც ჩვენ არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადავდგით მიზნისკენ სავალ გზაზე. 2024 წლის დამდეგს, ტრადიციულად, მინდა შევაჯამო გასული წელი:

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საერთაშორისო აღიარების დასტურია ის, რომ ჩვენს უნივერსიტეტში ყოველი მესამე სტუდენტი საერთაშორისო სტუდენტია. 2023 წელს საერთაშორისო სტუდენტთა რიცხვიც და იმ ქვეყნების რაოდენობაც, საიდანაც ისინი ჩამოდიან, გაიზარდა. ამჟამად აქ სწავლობს 84 ქვეყნის 3550-ზე მეტი მოქალაქე. ეს მაჩვენებელი ყოველწლიურად იზრდება, მიუხედავად იმისა, რომ თსსუ-ში სწავლის საფასური საერთაშორისო სტუდენტებისთვის არცთუ დაბალია და ბევრ, მათ შორის, ევროკავშირის, ქვეყანაში არსებულ გადასახადზე გაცილებით მაღალიცაა.

ამჟამად თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პარტნიორია 120-ზე მეტი უნივერსიტეტი და საუნივერსიტეტო კლინიკა მსოფლიოს 40-ზე მეტი ქვეყნიდან; მათთან თანამშრომლობა რეგულირდება ორმხრივი ხელშეკრულებებით და/ან ერთობლივი საერთაშორისო პროექტებით (ERASMUS +, HORIZON და სხვა). 2023 წელსაც, ტრადიციულად, ჩვენი უნივერსიტეტის 600-ზე მეტი სტუდენტი, რეზიდენტი, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, მეცნიერი, ექიმი, ექთანი მონაწილეობს მოკლე და გრძელვადიან საერთაშორისო მობილობის პროგრამებში.

გვაქვს სიახლეები: გერმანიის პედიატრთა და მოზარდთა მედიცინის საზოგადოების (DGKJ), გერმანიის ჯანდაცვის სამინისტროსა და თსსუ-ის ერთობლივი დაფინანსებით, ხორციელდება ერთობლივი პროექტი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტსა და თსსუ-ის გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიურ კლინიკაში. პროექტის ფარგლებში გერმანელი პროფესორები ჩართულნი არიან სასწავლო პროცესსა და კლინიკურ აქტივობებში, აქტიურ მონაწილეობას იღებენ ექიმთა უწყვეტი გადამზადების პროცესში.

საერთაშორისო თანამშრომლობა უაღრესად დიდი მნიშვნელობისაა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის განვითარებისთვის. ამ განცხადების საილუსტრაციოდ თუნდაც სულ ბოლოდროინდელი დიდი წარმატება გამოდგება: საქართველო სტომატოლოგთა საერთაშორისო კოლეგიის (ICD) ევროპის სექციის დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეული გახდა. ასეთი პატივი აღმოსავლეთ ევროპისა და ჩვენი რეგიონის არც ერთ ქვეყანას ჯერ არ რგებია.

ევროპის სექციაში დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულებად ჯერ კიდევ არ არის გამოყოფილი ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა: დანია, შვედეთი, ფინეთი, ნორვეგია, ბელგია, ისლანდია, ნიდერლანდები, პოლონეთი, უნგრეთი, რუმინეთი, ხორვატია, სლოვენია, ლუქსემბურგი, ლიეტუვა, ლატვია, ესტონეთი, ბულგარეთი და სხვა.

2023 წლის 2 დეკემბერს ევროპის სექციის საბჭოს სხდომამ განიხილა სტომატოლოგთა საერთაშორისო კოლეგიის ცენტრალური საბჭოს წინადადება და ერთხმად დაუჭირა მხარი საქართველოს დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულად, მე-16 სექტორად (დისტრიქტად) გამოყოფას. ამავე საბჭომ ახლად ფორმირებული დისტრიქტის ხელმძღვანელად, რეგენტად, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს სტომატოლოგთა პროფესიული ასოციაციის პრეზიდენტი მარინა მამალაძე აირჩია, რომელიც ამ ორგანიზაციის პირველი და ერთადერთი წევრი საქართველოდან 2013 წელს გახდა, 2020 წელს კი, მე-15 დისტრიქტის ვიცე-რეგენტად დაინიშნა.

ასევე, დიდად საამაყოა, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის და ინგოროყვას მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების საუნივერსიტეტო კლინიკის ნეფროლოგიის განვითარების კლინიკური ცენტრი (ცენტრის ხელმძღვანელი - თსსუ-ის შინაგან დაავადებათა N2 დეპარტამენტის პროფესორი ირმა ჭოხონელიძე) ნეფროლოგთა საერთაშორისო საზოგადოებამ (ISN) სანიმუშო ცენტრად აღიარა და რობერტ შრაიერის გრანტით დააჯილდოვა. ნეფროლოგიის განვითარების კლინიკურმა ცენტრმა წარმატებით გაიარა ყველა დონე და მიაღწია წინასწარ გაწერილ მიზნებს: ინტერვენციული ნეფროლოგიის დამკვიდრება, მულტიდისციპლინური მიდგომა ნეფროლოგიაში, თეორიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაუმჯობესება ჰემო და პერიტონეულ დიალიზში, თირკმლის ტრანსპლანტაციაში თანამედროვე მიდგომების დანერგვა.

ასეთი რიგის აღიარებები გვაძლევს დიდ მოტივაციას და თავდაჯერებას, რომ ჩვენი აღებული განვითარების კურსი შედეგიანი და სწორია!

მინდა აღვნიშნო, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ინტენსიურად მიმდინარეობს ინფრასტრუქტურის განვითარებასთან დაკავშირებული სამუშაოები, კერძოდ:

✓გამაგრდა, გარემონტდა და აღიჭურვა მე-2 სასწავლო კორპუსი, ფუნქციობა დაიწყო „სიცოცხლის მეცნიერებათა მუზეუმმა“;

✓პირველი სასწავლო კორპუსის ვესტიბიულის თავზე 550 კვ.მ ფართობზე მოეწყო თანამედროვე კაფეტერია;

✓დასრულდა პირველი სასწავლო კორპუსის ფასადის სარეაბილიტაციო სამუშაოები;

✓ადმინისტრაციული კორპუსის ვესტიბიულის თავზე მოეწყო სივრცე, სადაც განთავსდა კაფეტერია, საბჭოებისა და საკონფერენციო დარბაზები;

✓თბილისიდან 35 კმ-ის რადიუსში, ორ ლოკაციაზე შეძენილ იქნა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწის ნაკვეთები, კვლევითი, სასწავლო და საწარმოო მიზნებისთვის, აღებულია პირველი მოსავალი და, შესაბამისად, ამ ნედლეულით, იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის ბაზაზე წარმოებული პროდუქცია გავა ფარმაცევტულ ბაზარზე.

✓პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის ტერიტორიაზე აიგო და აღიჭურვა ახალი კორპუსი, მოეწყო ავტოსადგომები, დასრულდა უნივერსიტეტის სასაწყობე მეურნეობის მშენებლობა;

✓გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიურ კლინიკაში მწყობრში ჩადგა მე-2 კორპუსი;

აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებული პროექტების გათვალისწინებით, თსსუ-ის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის საწოლფონდი 22%-ით, ხოლო თსსუ-ის გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკის საწოლფონდი 26%-ით გაიზარდა.

✓მეხუთე სასწავლო კორუსში სპეციალურად მოწყობილი სივრცე აღიჭურვა ახალი აპარატურით და ფუნქციობა დაიწყო თსსუ-ის პირველმა სტომატოლოგიურმა კლინიკამ;

✓პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის ტერიტორიაზე ფუნქციობა დაიწყო ბავშვთა

ადრეული განვითარების აკადემიამ;

✓შევიძინეთ არაპირდაპირი 40%-იანი წილი შპს „გნ კო”-ში (ს/ნ 204964887). შპს „გნ კო” (ს/ნ 204964887) არის შპს „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და ინგოროყვას მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების საუნივერსიტეტო კლინიკის“ 100%-იანი წილის მესაკუთრე. შესაბამისად, თსსუ არაპირდაპირ ფლობს 40%-იან წილს კლინიკაში;

✓შპს „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და ინგოროყვას მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების საუნივერსიტეტო კლინიკამ“ შეიძინა შპს „რეაბილიტაციის ცენტრის“ (ს/ნ 404409305) 100%-იანი წილი;

✓ კეთილმოეწყო თსსუ-ის ადმინისტრაციული კორპუსის მიმდებარე ტერიტორია, სასწავლო კორპუსების წინ მოეწყო „რექტორთა ხეივანი“;

✓გარემონტდა თეატრალური დარბაზი (განახლდა მოძრავი სცენა, განათების სისტემა);

✓მოეწყო მცირე თეატრალური დარბაზი/სცენა;

✓ინფრასტრუქტურული ცვლილებები განხორციელდა თსსუ-ის კვლევით ინსტიტუტებშიც. აღსანიშნავია, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტს და თსსუ-ის ვლადიმერ ბახუტაშვილის სახელობის სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ქვეყნის სამეცნიერო-კვლევით პოტენციალში. კვლევით ინსტიტუტებში წარმატებით მიმდინარეობს თსსუ-ის დოქტორანტების, მაგისტრების და ბაკალავრების პროფესიული პრაქტიკული სწავლება და სტაჟირება. ინსტიტუტებში მიმდინარე კვლევებმა ფინანსური მხარდაჭერა და თანადგომა მიიღო სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული პროგრამების და გრანტების სახით.

უნდა აღინიშნოს, რომ თსსუ, თავისი მისიის შესაბამისად, სრულად იზიარებს ქალაქის გამწვანების და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზების თვალსაზრისით არსებულ პასუხისმგებლობას. კეთილმოეწყო თსსუ-ის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის, ადმინისტრაციული კორპუსის, მეორე სასწავლო კორპუსის მიმდებარე ტერიტორიები (დაახლოებით, 12000 კვმ ფართობი), ავტოსადგომებით, რეკრეაციული ზონებით და გამწვანებით.

მინდა, ცალკე გამოვყო და განსაკუთრებულად აღვნიშნო ძალიან მნიშვნელოვანი პროექტები, რომელთა განხორციელებაც უკვე დაიწყო:

✓ დაწყებულია ახალი, მრავალფუნქციური შენობის (დაახლოებით, 12000 კვმ ფართობის) სამშენებლო პროცესი. შენობა განთავსდება ზ. ანჯაფარიძის (ყოფილი სანდრო ეულის) ქუჩაზე. აღნიშნულ შენობაში გამოიყოფა უნივერსიტეტის ფუნქციობისათვის აუცილებელი სივრცეები: ამბულატორია, საოჯახო მედიცინის დეპარტამენტი, აფთიაქი, კლინიკური უნარებისა და მულტიმედიური სიმულაციის სასწავლო და საგამოცდო ცენტრი, OSCE - ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური საგამოცდო 2 სივრცე - თითოეული 20 სადგურზე, მედიცინისა და სტომატოლოგიის ფაკულტეტებისთვის; საგამოცდო ცენტრი და სივრცე აკადემიური საქმიანობისათვის.

✓ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა, გააფორმა ხელშეკრულება ფსიქიატრიისა და ნარკოლოგიის კლინიკის შესყიდვის მიზნით, ფსიქიატრიისა და ნარკოლოგიის დეპარტამენტების საკუთარ ბაზაზე განსათავსებლად, კლინიკის მშენებლობა უკვე მიმდინარეობს.

✓ გაფორმებულია ხელშეკრულება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის შესყიდვასთან დაკავშირებით; საერთო საცხოვრებლის მშენებლობაც დაწყებულია.

ამ პროექტების განხორციელება მნიშვნელოვანია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის შემდგომი განვითარებისათვის!

საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის ორგანიზებით, თბილისის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის და საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით, „სტუდენტური ფესტივალი - 2023“ გაიმართა, რომლის ფარგლებშიც, სპორტის 16 სახეობაში ტურნირები და კულტურული მიმართულების ტურები (ქართული ხალხური სიმღერა, ქართული ცეკვა, საესტრადო სიმღერა, თანამედროვე ცეკვა, ბენდების კონკურსი) ჩატარდა. ფესტივალში მონაწილეობა საქართველოში მოქმედი 30-ზე მეტი სახელმწიფო და კერძო უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებმა მიიღეს. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი სპორტსა და ხელოვნებაში „სტუდენტური ფესტივალი - 2023“-ის გამარჯვებულები გახდნენ! გარდა ამისა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტები ფესტივალის ჟიურისა და ორგანიზატორების მიერ დასახელდნენ როგორც ყველაზე ორგანიზებული გულშემატკივრები.

ცალკე აღნიშვნას იმსახურებს ის ფაქტი, რომ 2023 წელს თსსუ-ის საკალათბურთო გუნდი სტუდენტური ლიგის გამარჯვებული გახდა და ამ წარმატებით იგი რანგით მაღალ, „ა“ ლიგაში გადავიდა.

და სულ ბოლო სიახლეა: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს ევროპის საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის (EUSA) ასოცირებული წევრის დროებითი სტატუსი მიენიჭა.

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ჩვენი უნივერსიტეტის სიმღერისა და ცეკვის სახალხო ანსამბლ „ქართული ფოლკლორის“ და დრამატული თეატრის, „ჰიგიას“, წარმატებები, რითიც ყოველწლიურად გვანებივრებენ...

2023 წლის 7-14 დეკემბერს ჩატარდა თბილისის მოყვარულ სტუდენტთა საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი „ნიღაბი“, რომლის დამაარსებელიც თსსუ-ის კულტურის ცენტრთან არსებული თეატრ „ჰიგიას“ რეჟისორი, თსსუ-ის ჰისტოლოგიის, ციტოლოგიის და ემბრიოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი ნათია გუჯაბიძეა. ფესტივალი „ნიღაბი“ მეათედ ჩატარდა. ჩვენი სტუდენტები, ტრადიციულად, ყველაზე მეტ ნომინაციაში გამარჯვებულები აღმოჩნდნენ.

2023 წლის 14 დეკემბერი თითოეული თსსუ-ელისთვის განსაკუთრებული დღე გახდა – ჩვენმა სამშობლომ ევროპის კავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი მიიღო. მჯერა, ქართველები არ დავკარგავთ განვითარების ამ დიდ შესაძლებლობას და ჩვენი ქვეყანა მალე ევროპის კავშირის წევრი გახდება.

ახალი წლის დამდეგს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სიახლეებია: 2024 წლის 24 იანვრიდან ადმინისტრაციის ახალი ხელმძღვანელი (კანცლერი), ხოლო ცოტა მოგვიანებით, – 13 თებერვლიდან ახალი რექტორი შეუდგებიან მოვალეობის შესრულებას! დარწმუნებული ვარ, პროფესორი ირაკლი ნატროშვილი და აკადემიური დოქტორი ალექსანდრე ბუაჩიძე თსსუ-ის ძალზე წარმატებული რექტორი და კანცლერი იქნებიან.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წინსვლა ძალიან მნიშვნელოვანია ყველა ჩვენგანისთვის და საახალწლო სურვილებში ერთ-ერთი უცვლელი ესეც გახლავთ! მინდა ახალი წელი მივულოცო ყველა სტუდენტს, აკადემიურ პერსონალს, მეცნიერს, საუნივერსიტეტო კლინიკების ექიმებს, ექთნებს, თანამშრომლებს, ადმინისტრაციის ყველა თანამშრომელს! დამდეგი 2024 წელი გამორჩეული იყოს თქვენს პირად ცხოვრებაში, სწავლასა თუ სამსახურეობრივ საქმიანობაში! დაე, ეს წელი აღიბეჭდოს დიდი ბედნიერებისა და წინსვლის წლად თითოეული თქვენგანის ბიოგრაფიაში!

პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია,
თბილისის სახელმწიფო
სამედიცინო უნივერსიტეტის
რექტორი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს ევროპის საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის (EUSA) ასოცირებული წევრის დროებითი სტატუსი მიენიჭა

15 დეკემბერს ევროპის საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის (EUSA) სხდომაზე, აღმასრულებელმა კომიტეტმა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს EUSA-ის ასოცირებული წევრის დროებითი სტატუსი მიანიჭა.

2025 წლის ოქტომბერში დაგეგმილია გენერალური ასამბლეა, სადაც ევროპის საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის (EUSA) აღმასრულებელი კომიტეტი, ოფიციალური წევრობის სტატუსის დასამტკიცებლად წარადგენს ასოცირებული წევრების სტატუსის მქონე უნივერსიტეტების სიას, რომელთა შორისაა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი.

საკითხის საბოლოო განხილვამდე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ისარგებლებს ევროპის საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის (EUSA) მიერ, ასოცირებული წევრის დროებითი სტატუსის ფარგლებში მინიჭებული ყველა უპირატესობით.

სტუდენტთა საერთაშორისო დღე

17 ნოემბერს, თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით, სტუდენტთა საერთაშორისო დღე აღინიშნა. ეს დღე 1946 წლის 17 ნოემბერს პრაღაში, სტუდენტთა საერთაშორისო კონგრესზე ჩეხ პატრიოტ სტუდენტთა ხსოვნის ნიშნად დაწესდა. საქართველოში სტუდენტთა საერთაშორისო დღე პირველად თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში აღინიშნა 2009 წელს; მას შემდეგ იგი ყოველწლიურად ტარდება თსსუ-ში.

წელსაც, ტრადიციულად, ამ დღის აღსანიშნავად, თსსუ-ში სხვადასხვა ღონისძიება ჩატარდა: კალათბურთის ტურნირი, ქუჩის ფეხბურთი, მინი-გოლფი, ჭადრაკი, შაში, ნარდი... გამოვლინდნენ და დაჯილდოვდნენ სხვადასხვა ტურნირში გამარჯვებულები.

დღე თსსუ-ის საერთაშორისო სტუდენტების „ბენდების ბრძოლით“ დაიწყო, სადაც მონაწილეობა 7-მა ბენდმა მიიღო. სტუდენტების განწყობაზე იზრუნეს მოწვეულმა ბენდებმაც (გიორგი ცხადაძე – ბენდი „4+2“, და „Monstes Lobsters“). წარმოდგენა კიდევ უფრო გაალამაზა პარალელურად გამართულმა ფერების ფესტივალმა.

ღონისძიების მხარდამჭერები იყვნენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სპონსორი კომპანიები: „ბარამბო“, „Brauch“, „ბახმარო“, „ზელატოსი“, „ქალაქური“.

სისხლის უანგარო დონაცია

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის კულტურის დეპარტამენტის, საქართველოს ჯანმრთელობის ფედერაციის და დონორთა – „აჩუქე სიცოცხლე“ – პარტნიორობის ფარგლებში, გაიმართა სისხლის უანგარო დონაციის აქცია, რომელსაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა თსსუ-ის ქართველი და საერთაშორისო სტუდენტების მხრიდან. სისხლი გაიღო 60-მა სტუდენტმა. დონაციის აქციის პარალელურად გამართულ საინფორმაციო შეხვედრაზე, სისხლის უანგარო დონაციის მნიშვნელობასა და საჭიროებაზე ისაუბრა ჰემატოლოგ-ტრანსფუზიოლოგმა, კამპანიის ექსპერტმა მაია ბეროძემ. კამპანიის მიზნები და ქვეყნის მასშტაბით დაგეგმილი ღონისძიებები დამსწრე საზოგადოებას საქართველოს ჯანმრთელობის ფედერაციის დირექტორმა მეგი საჯაიამ გააცნო. საინფორმაციო შეხვედრა და სისხლის უანგარო დონაციის აქცია გაიმართა დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის – „სისხლის უანგარო რეგულარული დონორობის მხარდაჭერისა და მოზიდვის“ – ეროვნული კამპანიის ფარგლებში.

საინფორმაციო შეხვედრასა და დონაციის აქციაში მონაწილე თსსუ-ის სტუდენტებმა კამპანიის ფარგლებში დაგეგმილი სისხლის უანგარო დონაციის ბარიერების კვლევაშიც მიიღეს მონაწილეობა.

საჯარო ლექციები აქტუალურ თემებზე

*

თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის, საერთაშორისო ბავშვთა ორთოპედიის ცენტრის (ICCO) და თსსუ-ის ტრავმატოლოგია-ორთოპედიის დეპარტამენტის ინიციატივით და ორგანიზებით გაიმართა საჯარო ლექცია თემაზე – „კიდურების თანდაყოლილი დეფორმაციები, მათი თანამედროვე მართვის პრინციპები ბავშვთა ორთოპედიაში“. მომხსენებლის მარკ სინკლერის (შუა აღმოსავლეთის პედიატრიული ორთოპედიის ასოციაციის (Mepos) პრეზიდენტი, შეიხ ზეიედის კლინიკის ორთოპედი), მიერ წარმოდგენილი თემა, სტუდენტთა დაინტერესებითა და ჩართულობით წარიმართა; სტუდენტები გაეცნენ მათთვის საინტერესო თემებს ბავშვთა ორთოპედიაში თვალსაჩინო მასალის გამოყენებით.

*

სტუდენტური თვითმმართველობის განათლების დეპარტამენტის ორგანიზებით, ჩატარდა საჯარო ლექცია – „სპორტული მედიცინა“. სტუდენტებმა ინტერესით მოუსმინეს საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და საფეხბურთო კლუბ თბილისის „დინამოს“ ექიმს, დავით ხარაბაძეს.

მომხსენებელმა დეტალურად მიმოიხილა სპორტულ მედიცინაში არსებული გამოწვევები და არაერთი საინტერესო შემთხვევა გაიხსენა თავისი პრაქტიკული საქმიანობიდან. ლექციამ სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის მიმართულებით, სტუდენტებში დიდი დაინტერესება გამოიწვია.

ლექციის ბოლოს, დამსწრეებს ელექტრონული სერტიფიკატები დაეგზავნათ.

*

თსსუ-ში ჩატარდა დერმატოლოგ-ვენეროლოგ ზაზა თელიას ლექცია, რომელიც კიდევ ერთხელ ეწვია ჩვენს უნივერსიტეტს და ატოპიური დერმატიტის შესახებ ესაუბრა სტუდენტებს. მან ყურადღება გაამახვილა ატოპიური დერმატიტის მკურნალობის თანამედროვე მიდგომებზე, რამაც აუდიტორიის დიდი ინტერესი გამოიწვია. სტუდენტები ხალისით ჩაერთნენ ვიქტორინაში, გამარჯვებულები კი თსსუ-ის პარტნიორმა კომპანია „ავერსმა“ დააჯილდოვა.

ცურვის ტურნირი



თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის სპორტის დეპარტამენტის ორგანიზებით, პირველად სტუდენტური აქტივობების ისტორიაში, ჩატარდა ცურვის ტურნირი, რომელშიც მონაწილეობის სურვილი არაერთმა სტუდენტმა გამოთქვა. მათი უმრავლესობა, როგორც მოყვარულ, ისე პროფესიულ დონეზე, მისდევს სპორტის აღნიშნულ სახეობას.

შეჯიბრი ორ ეტაპად მიმდინარეობდა. გოგონების კატეგორიაში გაიმარჯვა დინა ჯოლიამ, მეორე ადგილი დაიკავა მარიამ წიკლაურმა, მესამე – მარიამ ფხალაძემ. ვაჟებში საუკეთესო შედეგი აჩვენა გიგა სულხანიშვილმა, მეორე ადგილი მოიპოვა ლუკა მიქელაძემ, ხოლო მესამე – ნიკა ჭელიძემ.

მადლიერებით სტუდენტებისგან

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობისა და სპორტის ცენტრის დირექტორის, გიგი შუბითიძის, ორგანიზებით, ჩატარდა საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწის, ვახტანგ ბაქანიძის სახელობის ტურნირი. ღონისძიების ორგანიზებაში, ასევე, აქტიურად იყო ჩართული თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის გუნდი ლადო გაბეჩავას (პრეზიდენტი), მარიამ მერაბიშვილის (ვიცე-პრეზიდენტი), თამარ ღვინაძის (სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი), კობა მურადაშვილის, მანუცა კობახიძის, თამთა ვაშაკიძის შემადგენლობით.

ტურნირმა სტუდენტების დიდი დაინტერესება გამოიწვია; მასში მონაწილეობა მიიღო 20-მა გუნდმა, რომელიც დაკომპლექტებული იყო თსსუ-ის ქართველი და საერთაშორისო სტუდენტებით. გამარჯვებული გუნდი გახდა „ბაქანა“, რომელმაც ფინალურ დაპირისპირებაში გუნდი – „All Eyes On Me“ დიდი სხვაობით, ანგარიშით – 6:0 დაამარცხა. შეჯიბრი სანახაობრივი გამოდგა. უნივერსიტეტის მოედნის ტრიბუნებზე შეკრებილმა გულშემატკივრებმა შეტევითი, დინამიკური თამაში იხილეს – „ბაქანამ“ მეტოქის წინააღმდეგობა გადალახა და 6 უპასუხო ბურთი გაიტანა.

ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ თენგო შარიქაძე დასახელდა, რომელმაც არაერთი ულამაზესი მოძრაობითა თუ გოლით გამოიჩინა თავი; საუკეთესო მეკარე თორნიკე ფუტკარაძე გახდა, რომელმაც რთული დარტყმების მოგერიება შეძლო. რაც შეეხება ტურნირის ბომბარდირს, ეს ნომინაცია მირიან ჯაფიაშვილს ერგო. მესამე ადგილი საერთაშორისო სტუდენტების გუნდმა – „Kassandra“-მ მოიპოვა, რომელმაც რთული ტურნირის განმავლობაში ღირსეულად იბრძოლა და გულშემატკივარს თავი შეუპოვრობით დაამახსოვრა.

მატჩის ბოლოს, თსსუ-ის სტუდენტურმა თვითმმართველობამ ბატონ ვახტანგ ბაქანიძეს მადლობის სიგელი გადასცა, რითაც დიდი მადლიერება გამოხატა წლების განმავლობაში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში მის მიერ გაწეული ღვაწლისთვის.

საინტერესო გასვლითი ტურები



სტუდენტური ცხოვრება, სწავლასთან ერთად, მრავალ საინტერესო, სახალისო აქტივობას და ღონისძიებას მოიცავს, სწავლით დატვირთულ დღეებს დაუვიწყარ ელფერს რომ მატებს; ასეთი ღონისძიებების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობაა.

სტუდენტებისთვის საინტერესო და დასამახსოვრებელი იყო გასვლითი ტურები. აქტივობაში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტის 1500 სტუდენტი ჩაერთო, რომლებმაც მოინახულეს ძამას ხეობა, უფლისციხე, ბოდბე; მათ არც საერთაშორისო სტუდენტები ჩამორჩნენ და საქართველოს ისტორიული ძეგლებისა და ადგილების მონახულებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა თითოეულ მათგანზე.

თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობა სტუდენტებისთვის მომავალშიც არაერთ ღონისძიებას გეგმავს; საინტერესო შეხვედრები და ღონისძიებები ახალგაზრდების დამეგობრების და სამომავლო თანამშრომლობის საწინდარია.

გვერდი მოამზადა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის VII სემესტრის სტუდენტმა, სტუდენტური თვითმმართველობის ვიცე-პრეზიდენტმა, ციცი პაპუნაშვილმა

საქართველოს სტომატოლოგთა ევროპული ალიანება

საქართველო სტომატოლოგთა საერთაშორისო კოლეგიის (ICD) ევროპის სექციის დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეული გახდა. ასეთი პატივი აღმოსავლეთ ევროპისა და ჩვენი რეგიონის არც ერთ ქვეყანას ჯერ არ რგებია.

გადაწყვეტილება ICD-ის ცენტრალურმა ოფისმა 2023 წლის ნოემბერში სეულში (კორეა) ჩატარებულ საერთაშორისო საბჭოზე მიიღო და დასამტკიცებლად, ევროპის სექციის საბჭოს გადასცა, რომლის სხდომა 2023 წლის 2 დეკემბერს ვენაში (ავსტრია) შედგა.

ცნობისათვის: ICD-ის, სტომატოლოგთა ამ ერთ-ერთი უძველესი ორგანიზაციის, შემადგენლობაში მსოფლიოს ყველა კონტინენტის ქვეყანა 15 სექციადაა გაერთიანებული. მათ შორის ყველაზე მრავალქვეყნიანი, V, ევროპის სექციაა. ევროპის სექციაში 34 ქვეყანა 15 დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულად, სექტორადაა (დისტრიქტად) წარმოდგენილი. საქართველო მე-15 სექტორში (ცენტრალური და ჩრდილოეთ ევროპა) პოლონეთთან, ბულგარეთთან, ლიეტუვასთან, ლატვიასთან, ესტონეთთან, მოლდოვასა და უკრაინასთან ერთად შედიოდა.

ევროპის სექციაში დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულებად ჯერ კიდევ არა არის გამოყოფილი ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა: დანია, შვედეთი, ფინეთი, ნორვეგია, ბელგია, ისლანდია, ნიდერლანდები, პოლონეთი, უნგრეთი, რუმინეთი, ხორვატია, სლოვენია, ლუქსემბურგი, ლიეტუვა, ლატვია, ესტონეთი, ბულგარეთი და სხვა.

2023 წლის 2 დეკემბერს ევროპის სექციის საბჭოს სხდომამ განიხილა სტომატოლოგთა საერთაშორისო კოლეგიის ცენტრალური საბჭოს წინადადება და ერთხმად დაუჭირა მხარი საქართველოს დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულად, მე-16 სექტორად (დისტრიქტად), გამოყოფას. ამავე საბჭომ ახლად ფორმირებული დისტრიქტის ხელმძღვანელად, რეგენტად, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს სტომატოლოგთა პროფესიული ასოციაციის პრეზიდენტი მარინა მამალაძე აირჩია, რომელიც ამ ორგანიზაციის პირველი და ერთადერთი წევრი საქართველოდან 2013 წელს გახდა, 2020 წელს კი, მე-15 დისტრიქტის ვიცე-რეგენტად დაინიშნა.

საბჭოს თავმჯდომარემ, ICD ევროპის სექციის ვიცე-პრეზიდენტმა, რეგისტრარმა, პროფესორმა მაურო ლაბანკამ პროფესორ მარინა მამალაძეს და მის ქვეყანას, ICD-ის ევროპულ ოჯახში ახალი, მე-16 სექტორის ჩამოყალიბება მიულოცა და სტომატოლოგთა საერთაშორისო კოლეგიის დროშა და რეგენტის მანტია საზეიმოდ გადასცა.

პროფესორმა მარინა მამალაძემ საბჭოს დიდი მადლობა გადაუხადა გამოცხადებული ნდობისთვის და იმედი გამოთქვა, რომ: „ICD-ის ქართული გუნდი, რომელიც დღეს ძირითადად თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებითაა წარმოდგენილი, გაიზრდება, მას საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან ახალი წევრებიც შემოუერთდებიან და ჩვენი საერთო აქტივობა სტომატოლოგიის საკეთილდღეოდ, კიდევ უფრო შესამჩნევს გახდის საქართველოს სტომატოლოგთა საერთაშორისო კოლეგიის ევროპის სექციაში“.

საბჭოს სხდომის შემდეგ, პროფესორი მარინა მამალაძე და თსსუ-ის რექტორი, პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია შეხვდნენ ევროპის სექციაში შემავალი უნივერსიტეტების პროფესორებს და განიხილეს ICD-ის ყოველწლიურ შეკრებებში უნივერსიტეტების მონაწილეობისა და ამ ორგანიზაციაში უმაღლესი საგანმანათლებლო ინსტიტუციების როლის საკითხები. ასევე, დასახეს მომავალი თანამშრომლობის პერსპეტივები.

სიცოცხლის სამსახურში

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის პერინატალური დეპარტამენტის ახალშობილთა ინტენსიური მეთვალყურეობის განყოფილებაში, ორსულობის 25 კვირაზე მოევლინა ქვეყანას პატარა სესილი, 700 გრამი წონით, რომელსაც „უფლის სასწაულს“ უწოდებენ კლინიკაში. სესილი ახლა 5 თვისაა და ოთხთვიანი მკურნალობის შემდეგ, მშობლებთან ერთად, შინ ჯანმრთელი გაეწერა. თუმცა, ის გამონაკლისი არაა – განყოფილების კოლექტივის თავდაუზოგავი შრომის შედეგია, რომ დღეს, სესილისთან ერთად, ბედნიერად გრძნობენ თავს და ლაღად იზრდებიან 2 წლის ლაზარე, რომელიც 25 კვირისა 650 გრამი დაიბადა; ასევე, 26 კვირის ვადაზე 900 გრამი წონით დაბადებული, 8 თვის ვაჩე, 28 კვირის 1000 გრამი ნია, რომელიც ახლა 10 თვის ჯანმრთელი გოგონაა და კიდევ ბევრი ასეთი ექსტრემალურად მცირე წონის ღრმა დღენაკლული ახალშობილი.



– რა დამავიწყებს იმ ყველაზე ემოციურ დილას, როცა კლინიკაში საკონსულტაციოდ მისულს, საღამოს უკვე დედა მერქვა, – წერს სესილის ახლა უკვე უბედნიერესი დედა.

ამიტომაცაა, რომ აქაურ ექიმთა და სამედიცინო პერსონალის დიდ გუნდს წარმატებულ მომავალს უსურვებენ ახალშობილთა დედები, ახლობლები და ყველა, ვისაც ერთხელ მაინც შეხება ჰქონია, მათზე მზრუნველ საუკეთესო კოლექტივთან, რომელთა ერთობლივი ძალისხმევით გახდა შესაძლებელი ამ შედეგების მიღწევა.

თსსუ პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის პერინატალური დეპარტამენტის ახალშობილთა ინტენსიური მეთვალყურეობის განყოფილება 2020 წლის მარტიდან ფუნქციობს და 18 საწოლს მოიცავს, საიდანაც 12 ინტენსიური მეთვალყურეობის II-III დონისაა, 6 საწოლი კი დათმობილია პირველი დონის მოვლისთვის.

განყოფილებაში სრულყოფილი პირობებია შექმნილი, როგორც მატერიალურ-ტექნიკური, ასევე, ადამიანური რესურსების თვალსაზრისით, რათა ყველა ახალშობილს, საჭიროების შემთხვევაში, თანამედროვე პროტოკოლების დაცვით, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი დახმარება გაეწიოს.

აღსანიშნავია, რომ განყოფილებამ ფუნქციობა კოვიდპანდემიის საწყის ეტაპზე დაიწყო; სწორედ იგი იყო პირველი დაწესებულება, რომელმაც ახალშობილები საეჭვო და დადასტურებული COVID-19-ის დიაგნოზით მიიღო. განყოფილებამ პანდემიის პერიოდში რთული გზა გაიარა და ღირსეულად გაართვა თავი ამ რთულ ვითარებას. განყოფილების პერინატალური ცენტრი იყო კოლექტორი COVID-19-ით დაავადებული ორსულებისა და ახალშობილებისა, სადაც ხდებოდა უამრავი მძიმე შემთხვევის მართვა, მოხერხდა არაერთი დედისა და ახალშობილის გადარჩენა/გამოჯანმრთელება, ასევე, ბევრი ღრმა დღენაკლული ახალშობილი გაიზარდა და გაეწერა ბინაზე.

განყოფილების წარმატებული ფუნქციობის შედეგია ექსტრემალურად მცირე წონის, ღრმა დღენაკლული ახალშობილების გამოზრდის კარგი ნევროლოგიური გამოსავლით დასრულებული ბევრი შემთხვევა. მარტო 2022-2023 წლებში განყოფილებამ შეძლო, გადაერჩინა 1000 გრამამდე მასის მქონე ღრმა დღენაკლული 19 ახალშობილი, რომლებიც დამაკმაყოფილებელი სომატურ-ნევროლოგიური სტატუსით გაეწერნენ კლინიკიდან; საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ამ ახალშობილთა დედებიც საკმაოდ მძიმე სტატუსით გადიოდნენ მკურნალობის კურსს კლინიკის ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში.

საამაყოა, რომ კლინიკის ბაზაზე გამოზრდილი ღრმა დღენაკლულების რიცხვი მზარდი დინამიკით ხასიათდება, რაც თსსუ პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის მულტიპროფილური სამსახურების ერთობლივი, შეთანხმებული და აკადემიური მართვის შედეგია.

სწორედაც რომ, უპრიანია, წინასაახალწლო დღეებში, საუკეთესო სამომავლო პერსპექტივებით აღსავსე მომავალი ვუსურვოთ მთელ კლინიკას, განსაკუთრებით კი, პერინატალური დეპარტამენტის ახალშობილთა ინტენსიური მეთვალყურეობის განყოფილების შესანიშნავ კოლექტივს, დღენიადაგ რომ იბრძვიან ჯანსაღი მომავალი თაობის ჯანმრთელობის დაცვისა და სიჯანსაღის შესანარჩუნებლად.

ელისო თურქაძე,
თსსუ-ის პირველი
საუნივერსიტეტო კლინიკის
პერინატალური დეპარტამენტის ნეონატოლოგიური
მიმართულების ხელმძღვანელი



დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობაზე ზრუნვა – მომავალზე ზრუნვის შეუცვლელი გზა

თსსუ პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა მრავალპროფილიანი დაწესებულებაა, სადაც წარმატებით ფუნქციობს პერინატოლოგიის მიმართულება, თსსუ მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტით (ხელმძღვანელი საქართველოს მეან-გინეკოლოგთა და რეპროდუქტოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნიკოლოზ კინტრაია) და ახალშობილთა ინტენსიური თერაპიის განყოფილებით (ხელმძღვანელი – ელისო თურქაძე). აღნიშნული სამსახური, ძირითადად, დაკომპლექტებულია სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალით.

აღსანიშნავია, რომ სსიპ თსსუ-ის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა, პერინატალური რეგიონალიზაციის ფარგლებში, ახორციელებს მესამე დონის სამედიცინო სერვისს, რაც გულისხმობს პროფესიონალთა მულტიდისციპლინური, მულტიპროფილური გუნდის მზადყოფნას ყველაზე ექსტრემალური სიტუაციების მართვის თვალსაზრისით.

2020-2023 წლებში პერინატოლოგიის მიმართულებაში მკურნალობა ჩაუტარდა 1351 პაციენტს (ორსული, მშობიარე, მელოგინე და გინეკოლოგიური პაციენტი) – სხვადასხვა მძიმე სამეანო-გინეკოლოგიური და ექსტრაგენიტალური პათოლოგიით.

კოვიდპანდემიის პერიოდში ჩატარებული სამედიცინო მომსახურების ხარისხს თვალსაჩინოდ ადასტურებს სტატისტიკური მონაცემები, კერძოდ, – დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებელი ამ პერიოდში 0,6 %-ს შეადგენდა. აღნიშნული შედეგი მიღწეულია ურთულესი სამეანო-გინეკოლოგიური შემთხვევების მაღალპროფესიული, გუნდური მუშაობით თსსუ-ის მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტისა და პერინატოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელობის და სამედიცინო პერსონალის სრული ჩართულობით.

რთულ შემთხვევათა შორის განსაკუთრებულად შეიძლება გამოვყოთ ერთ-ერთი, რომლის მართვაც გუნდის უდიდეს წარმატებად შეიძლება მივიჩნიოთ – 43 წლის ქალბატონი, ხელოვნური განაყოფიერების შედეგად მიღებული ორსულობით, კლინიკის მიმღებ დეპარტამენტში შემოვიდა ორსულობის 23-ე კვირის ვადაზე, COVID-19-ით ინდუცირებული, ორგანოთა ფუნქციის უკმარისობის სინდრომით, კოაგულაციური და იმუნური სისტემის დისფუნქციით, რესპირატორული დისტრეს-სინდრომით, რის გამოც საჭირო გახდა მისი გადაყვანა მართვით სუნთქვაზე. კონსილიუმის მიერ გადაწყდა ორსულობის შენარჩუნება. 26-ე კვირაზე კი, ორსულის უკიდურესად მძიმე მდგომარეობიდან გამომდინარე, დედისა და ნაყოფის სასიცოცხლო ჩვენებით, ჩატარდა სასწრაფო საკეისრო კვეთის ოპერაცია. დაიბადა ნაადრევი ახალშობილი, 650 გრამი წონით. ინტენსიური მკურნალობის შედეგად, მელოგინე და ახალშობილი გაეწერნენ ბინაზე, დამაკმაყოფილებელი მდგომარეობით. ასეთი მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლება.

კლინიკის პერინატოლოგიის მიმართულება, სამეანო-გინეკოლოგიური დეპარტამენტით და ახალშობილთა ინტენსიური თერაპიის განყოფილებით, მუდამ მზადაა, იდგეს დედათა და ახალშობილთა სიცოცხლის სამსახურში, ემსახუროს ყველაზე კეთილშობილურ საქმეს – ქვეყნად ჯანსაღი მომავლის მოვლინებას!

პლატონ მაჭავარიანი ,
მედიცინის დოქტორი,
თსსუ-ის ასოცირებული პროფესორი,
საქართველოს მეან-გინეკოლოგთა და
რეპროდუქტოლოგთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი,
თსსუ-ის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის
პერინატოლოგიის მიმართულების
ხელმძღვანელი

უნიკალური ოპერაცია
თსსუ-ის გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიურ კლინიკაში



ამ სამიოდე წლის წინ „სამედიცინო გაზეთის“ მკითხველს ვუამბეთ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიურ კლინიკაში ჩატარებული ურთულესი ქირურგიული ოპერაციის შესახებ, როცა პროფესიონალ ქირურგთა გუნდმა, პროფესორ მერაბ ბუაძის ხელმძღვანელობით, 1 წლის და 4 თვის პაციენტს სიცოცხლე შეუნარჩუნა. ასეთივე წარმატებული გამოდგა ახლახან ჩატარებული უნიკალური ოპერაცია გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიურ კლინიკაში – ამჯერად ექიმებმა 12 წლის პაციენტის სიცოცხლე იხსნეს. აღსანიშნავია, რომ ასეთი სირთულის ოპერაცია ბავშვთა ასაკში საქართველოში პირველად განხორციელდა. დიაგნოზი: სფეროციტოზი და ნაღვლის ბუშტში მრავლობითი ქვები. ოპერაციული ჩარევა – ქოლეცისტექტომიასთან ერთად სპლენექტომია ლაპაროსკოპიული მეთოდით, ერთ ეტაპად, 4 პორტის საშუალებით – თსსუ-ის ბავშვთა ქირურგიის დეპარტამენტის ასოცირებულმა პროფესორმა, **ავთანდილ კუტუბიძემ** და ბავშვთა ქირურგებმა: **ზურაბ ძიძავამ** და **ნიკოლოზ ბუაძემ** ჩაატარეს.

როგორც თსსუ-ის ბავშვთა ქირურგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა **მერაბ ბუაძემ** აღნიშნა, ოპერაციიდან მეორე დღეს, პაციენტის დას, 9 წლის გოგონას, წარმატებით ჩაუტარდა ლაპაროსკოპიული სპლენექტომია და ისიც ძმასთან ერთად გაეწერა კლინიკიდან. 2 თვის წინ, გოგონა მკურნალობდა კლინიკის ინტენსიური თერაპიის დეპარტამენტში, ამავე დიაგნოზისთვის დამახასიათებელი სანაღვლე გზების ობსტრუქციით და მძიმე სიყვითლით (ნაღვლის ბუშტსა და ღვიძლის საერთო სადინარში არსებული მრავლობითი კონკრემენტების გამო). მდგომარეობის სტაბილიზაციის შემდეგ, ჩატარდა ლაპაროსკოპიული ქოლეცისტექტომია. მოგვიანებით, სპლენექტომიის წინ, პროტოკოლის შესაბამისად, მას აუცილებელი ვაქცინაციები ჩაუტარდა.

ბატონი მერაბის თქმით, სირთულის თვალსაზრისით, განსაკუთრებით აღსანიშნავია პირველი შემთხვევა: „12 წლის პაციენტთან ოპერაციული ჩარევა ერთ ეტაპად, ქოლეცისტექტომია და სპლენექტომია ლაპაროსკოპიულად, ღია წესის გარეშე, ჩვენს ქვეყანაში პირველად ჩატარდა და, სასიხარულოა, რომ ასეთი შედეგით დასრულდა. საერთოდ, ორივე შემთხვევაში, მემკვიდრულ მიკროსფეროციტოზთან გვქონდა საქმე. აღსანიშნავია, რომ დაავადება გადაეცემა დომინანტური გზით; ამ დროს ერითროციტები იღებენ სფერულ ფორმას. ვითარდება უჯრედშიდა ჰემოლიზი, დაზიანებულ უჯრედებში ჰემოგლობინის გარდაქმნა ბილირუბინემიასა და სიყვითლეს იწვევს. ერითროციტების უჯრედშიდა დაშლა განსაზღვრავს დაავადების კლინიკურ სურათს: სიყვითლეს, ელენთის გადიდებას, ანემიას, ნაღვლის ბუშტში კენჭების წარმოქმნას... დაავადება კლინიკურად შეიძლება გამოვლინდეს ნებისმიერ ასაკში, თუმცა, სინამდვილეში, იგი იწყება დაბადებისთანავე. ჰემოლიზისთვის დამახასიათებელი არაპირდაპირი ბილირუბინემია ქოლელითიაზის დროს იცვლება პირდაპირით – მექანიკური სიყვითლე, ტკივილი ნაღვლის ბუშტის არეში, ღვიძლის გადიდება მემკვიდრული მიკროსფეროციტოზის დამახასიათებელი ნიშნებია“.

სასიხარულოა, რომ დღეს ორივე პაციენტი გამოჯანმრთელებულია და ცხოვრების ჩვეულებრივ რიტმს დაუბრუნდა. გავესაუბრეთ პატარა პაციენტების მშობლებსაც, სოფო ბართიას და გიორგი მინდიაშვილს, რომლებიც მადლიერების გამომხატველ სიტყვებს არ იშურებენ კლინიკის ხელმძღვანელობის, თსსუ-ის ბავშვთა ქირურგიის დეპარტამენტის, მთელი სამედიცინო პერსონალის მიმართ: „ცხადია, ოპერაციისწინა პერიოდს ახლდა განცდები, ნერვიულობა, რადგან რისკი დიდი იყო, – აღნიშნავს სოფო ბართია, – განსაკუთრებით რთული გახლდათ ჩვენი ვაჟის ოპერაცია, რომელიც, ბავშვთა ასაკში, საქართველოში პირველად ჩატარდა, თუმცა, ბედნიერები ვიყავით, როცა ასეთი შედეგი დადგა და დღეს ორივე ბავშვი თავს კარგად გრძნობს. დიდ მადლობას ვუხდით კლინიკის სამედიცინო პერსონალს, განსაკუთრებით, პროფესორ მერაბ ბუაძეს, რომლის ხელმძღვანელობით ჩატარდა ოპერაცია და რომლის თანადგომასაც ამ მძიმე პერიოდში მუდმივად ვგრძნობდით; ასევე, განსაკუთრებული მადლობა ასოცირებულ პროფესორ ავთანდილ კუტუბიძეს; ქირურგებს: ზურაბ ძიძავას და ნიკოლოზ ბუაძეს; კრიტიკული დეპარტამენტის ხელმძღვანელს – ლაშა ლობჯანიძეს, ასევე, რეანიმატოლოგებს: ია ეპიტაშვილს, დოდო გველესიანს, ანა იაკობაშვილს; ანესთეზიოლოგებს: ნინო შეროზიას, გოგა იორამიშვილს. ყველას, ვისი თუნდაც მცირედი წვლილია ოპერაციის წარმატებით ჩატარებასა და მკურნალობაში. თამამად შეიძლება ითქვას, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკა, სადაც მაღალპროფესიონალები ურთულეს ოპერაციებს ასეთ მაღალ დონეზე ატარებენ, სრულად პასუხობს თანამედროვეობის მოთხოვნებს“.

ბედნიერებაა, როცა ექიმების პროფესიონალიზმი და გულისხმიერება ასეთ შეფასებას იმსახურებს; ვულოცავთ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკის ხელმძღვანელობას, სამედიცინო პერსონალს და ყველა თანამშრომელს ამ დიდ წარმატებას და ბედნიერ შობა-ახალ წელს ვუსურვებთ.

ნატო გოლძვაძე

სახელმძღვანელო ივანე თარხნიშვილის სახელობის პრემიით დაჯილდოვდა

გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (იუნესკოს) მიერ დაწესებული „მშვიდობისა და განვითარების მეცნიერების მსოფლიო დღესთან“ დაკავშირებით, მეცნიერებაში მიღწეული წარმატებებისთვის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში გამოჩენილ ქართველ მეცნიერთა სახელობის აკადემიური პრემიების 2023 წლის ლაურეატები და სხვადასხვა დარგის გამორჩეული სპეციალისტები დაჯილდოვდნენ.

კერძოდ, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ ივანე თარხნიშვილის სახელობის პრემიით ფიზიოლოგიის და მედიცინის დარგში, დაჯილდოვა და ლაურეატის დიპლომი გადასცა სახელმძღვანელოს – „პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაავადებების“ – ავტორებს:

მანანა ივერიელს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პაროდონტისა და პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაავადებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელს, საქართველოს სტომატოლოგთა პროფესიული ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტს;

ნინო აბაშიძეს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, თსსუ-ის პაროდონტისა და პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაავადებათა დეპარტამენტის ასოცირებულ პროფესორს, საქართველოს სტომატოლოგთა პროფესიული ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტს;

ხატია გოგიშვილს, მედიცინის აკადემიურ დოქტორს, თსსუ-ის პაროდონტისა და პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაავადებათა დეპარტამენტის ასოცირებულ პროფესორს;

ნინო გოგებაშვილს, მედიცინის აკადემიურ დოქტორს, თსსუ-ის პაროდონტისა და პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაავადებათა დეპარტამენტის ასოცირებულ პროფესორს.

სახელმძღვანელოში განხილულია პირის ღრუს ლორწოვანი გარსის 100-ზე მეტი დაავადება, აღწერილია მათი გავრცელება, ეტიოლოგია, მორფოლოგია, ლოკალიზაცია, კლინიკა, დიაგნოსტიკა, მკურნალობა და პროფილაქტიკა.

სახელმძღვანელო განკუთვნილია სტომატოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტების, რეზიდენტებისა და ექიმი სტომატოლოგებისთვის.

სახელმძღვანელომ თავისი აქტუალობით, საერთაშორისო მოთხოვნებთან თანხვედრით, მაღალაკადემიური დონით მოიპოვა აღიარება სპეციალისტთა ფართო წრეში, რის შესახებაც თავიანთ მოსაზრებას გამოთქვამენ მედიცინის სხვადასხვა დარგის ცნობილი სპეციალისტები. მკითხველისთვისაც უპრიანი იქნება რამდენიმე ამონარიდის გაცნობა მათი მოსაზრებიდან:

„ქართულ ენაზე გამოცემულ სტომატოლოგიური პროფილის სახელმძღვანელოებს შორის „პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაავადებები“ ერთ-ერთი საუკეთესოა“...

„სახელმძღვანელოში დაწვრილებით, კომპაქტურად, მდიდარი ფოტომასალით გადმოცემულია პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ინფექციური გენეზის დაავადებების კლინიკური სურათი, რაც გვეხმარება ამ დაავადებათა დროულ დიაგნოსტიკაში. ... მნიშვნელოვანია, რომ წიგნის ავტორები არიან თავისი საქმის პროფესიონალები მდიდარი პროფესიული გამოცდილებით“.

„ქალბატონებმა მანანა ივერიელმა და ნინო აბაშიძემ, ახალგაზრდა კოლეგებთან – ხატია გოგიშვილთან და ნინო გოგებაშვილთან ერთად, ოსტატურად გაართვეს თავი მათ წინაშე დასმულ ურთულეს ამოცანას და გამოაქვეყნეს სტომატოლოგებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი – პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ასზე მეტი დაავადებისადმი მიძღვნილი მაღალაკადემიური შინაარსის, უხვად ილუსტრირებული და საუკეთესო პოლიგრაფიული დონის სახელმძღვანელო“...

სახელმძღვანელო „პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაავადებები“ ერთნაირად საინტერესოა არა მარტო სტომატოლოგების, არამედ მედიცინის სხვა დარგების წარმომადგენლებისთვისაც.

მოამზადა დარეჯან კომლაძემ

სტუდენტთა ნახატების გამოფენა თსსუ-ში



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ტრადიციად დამკვიდრდა სტუდენტთა ნახატების გამოფენა, რომელსაც კულტურის ცენტრის დირექტორის, ბადრი მაჭავარიანის ინიციატივით ჩაეყარა საფუძველი; ღონისძიება ყოველწლიურად კულტურის ცენტრის და სტუდენტური თვითმმართველობის ერთობლივი ძალისხმევით ტარდება. წელს ღონისძიება სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით ჩატარდა და, ამჯერადაც, მასში ხატვით დაინტერესებული სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტები აქტიურად ჩაერთნენ.

გავესაუბრეთ თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის კულტურის დეპარტამენტის ხელმძღვანელს, ფარმაციის ფაკულტეტის სტუდენტს, ეკატერინე გუშარაშვილს, რომელმაც აღნიშნა:

„გამოფენის მიზანი ხატვის ნიჭით გამორჩეულ სტუდენტთა წარმოჩენა და იმის ჩვენებაა, თუ რა შესანიშნავად ახერხებენ ისინი, ექიმის საპასუხისმგებლო პროფესიის ათვისებასთან ერთად, შემოქმედებითი კუთხითაც გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები.

ეს უკვე სტუდენტთა ნახატების მესამე გამოფენაა, რომელიც ჩვენს უნივერსიტეტში ტარდება. გადავწყვიტეთ გამოფენაში მონაწილეობის შესაძლებლობა მიგვეცა ყველა სტუდენტისთვის, ვისაც სურვილი ჰქონდა წარმოედგინა ნამუშევრები. სხვადასხვა ფაკულტეტის 30-მა სტუდენტმა საკუთარი შემოქმედებიდან რამდენიმე ნამუშევარი გადმოგვიგზავნა ელექტრონული ფოსტის საშუალებით, რომელთაგან, თემატიკის მიხედვით, აირჩა რამდენიმე. „ხელოვნება - თვით უკვდავება“, – ამ თემაზე წარმოდგენილი ნახატებიდან წელს შემოდგომის მსუყე ფერებით დატვირთულ პეიზაჟებს მივანიჭეთ უპირატესობა, თუმცა სტუდენტებსაც მივეცით საშუალება ჩართულიყვნენ ამ პროცესში. შეიძლება ითქვას, რომ ეს პროექტი სტუდენტთა ერთ-ერთი საყვარელი ღონისძიებაა და, მიუხედავად იმისა, რომ, ორგანიზების თვალსაზრისით, საკმაოდ შრომატევადია, მასში სიამოვნებით, განსაკუთრებული ემოციით და გულმოდგინებით ერთვებიან ისინი...“

გამოფენაზე ყურადღებას იქცევდა ზეთში და აკვარელში შესრულებული საინტერესო პეიზაჟები, ნატურმორტები... წარმოდგენილი იყო ანანო სიყმაშვილის, ანა დარბუაშვილის, გოარ ბდოანის, სოფია ამონაშვილის, ლალი ბეგაძის, სოფი იმერლიშვილის, სესილი ვარსიმაშვილის, მარიამ მდივანის, ნოდარ მაისურაძის, სოფია აბულაძის, თამთა ქარსალაძის, ელენე ვარდოსანიძის, გივი მიქაუტაძის, სალომე ზაქროშვილის, დაჩი ცხვიტავას, ნელი კუბლაშვილის, ანა შველიძის, ლაშა გუჯეჯიანის, ანი მელაძის ნახატები.

სოფია ამონაშვილი, სტომატოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი: „ეს არ გახლავთ პირველი გამოფენა ჩემთვის: ორჯერ მივიღე მონაწილეობა თბილისის ხელოვნების გალერეის (Iart Gallery Tbilisi) გამოფენაში და კმაყოფილი ვარ, რადგან ჩემმა ნახატებმა დამთვალიერებელთა ყურადღება დაიმსახურა. რაც შეეხება ამ გამოფენას, ამჯერად ორი ნამუშევარი წარმოვადგინე, რომლითაც ვეცადე საკუთარი განწყობა გადმომეცა. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ჩატარებულ გამოფენაში მონაწილეობა განსაკუთრებით საპასუხისმგებლოა ჩემთვის – გამოფენას ესწრებიან ჩემი თანაკურსელები, მეგობრები, სამედიცინო სფეროს წარმომადგენლები, რომელთა შეფასებაც ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია და მოხარული ვიქნები, თუ ჩემი ნახატები მოწონებას დაიმსახურებს“...

სესილი ვარსიმაშვილი, მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტი:

„გამოფენაზე წარმოდგენილია ტრიპტიხის სტილის ნამუშევარი – სამ ტილოზე შესრულებული ნახატით ვეცადე ,ჩრდილოეთის ციალი გამომესახა და ციური ნათების ეს თვალწარმტაცი სილამაზე ფერწერით გადმომეცა. ვცდილობ, შესაძლებლობები სახვითი ხელოვნების სხვადასხვა ჟანრში მოვსინჯო და ამ ძიებაში ვიპოვო საკუთარი სტილი. მინდა გულწრფელი მადლობა გადავუხადო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს, სტუდენტურ თვითმმართველობას, რადგან, საუნივერსიტეტო სივრცეში, სწავლასთან ერთად, შესაძლებლობა მაქვს დრო დავუთმო ხატვას. მომავალი პროფესია – ექიმობა – დიდ შრომას, ძიებას, პასუხისმგებლობას მოითხოვს, ხატვა კი, გარდა იმისა, რომ მეხმარება განტვირთვაში, ჩემი საყვარელი საქმიანობაა და, დარწმუნებული ვარ, მომავალშიც ასე იქნება“.

როგორც სტუდენტური თვითმმართველობის კულტურის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, ეკატერინე გუშარაშვილმა გვითხრა, დაგეგმილია სხვადასხვა პროექტის განხორციელება, რომელშიც შემოქმედებითი ნიჭით გამორჩეული სტუდენტები ჩაერთვებიან: ფოტოკონკურსი სახელწოდებით – „წარმოადგინე შენი ფაკულტეტი“, ასევე, – „წიგნის კლუბი“, რომელიც ითვალისწინებს საუბრებს წიგნებზე, ლიტერატურულ პერსონაჟებზე, შეხვედრებს სტუდენტების საყვარელ მწერლებთან, პოეტებთან...

უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა, მისი კულტურის დეპარტამენტი დამდეგ ახალ წელს ულოცავს თსსუ-ის სტუდენტებს და ელის საინტერესო ღონისძიებებში მონაწილეობისთვის, რაც კიდევ უფრო შთამბეჭდავს და მრავალფეროვანს გახდის მათ სტუდენტურ ცხოვრებას.

ნატო გოლძვაძე

გზა პროფესორ-ემერიტუსობამდე

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის თვალსაჩინო წარმომადგენელს, ათეულწლების განმავლობაში ბავშვთა და მოზარდთა მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელს, პროფესორ ყარამან ფაღავას, ახლახან პროფესორ-ემერიტუსის წოდება მიენიჭა. ამასთან დაკავშირებით, მას რამდენიმე შეკითხვით მივმართეთ.

– ბატონო ყარამან, თქვენ ექიმების ოჯახიდან ხართ. უშუალოდ სამედიცინო უნივერსიტეტთან რა კავშირი ჰქონდათ თქვენი ოჯახის წევრებს?

– ჩემი პაპა – ყარამან ფაღავა – პროფესორ თიკანაძესთან მუშაობდა; მან გერმანულიდან თარგმნა და გამოაქვეყნა სახელმძღვანელო მეანობაში; მეორე პაპა – ნიკოლოზ ასპისოვი – ჩვენი უნივერსიტეტის (მაშინდელი ინსტიტუტის) პროფესორთა პირველი პლეადის წარმომადგენელი – ყელ-ყურ-ცხვირის სნეულებათა კათედრის გამგე გახლდათ; მამა – ირაკლი ფაღავა, ბავშვთა სნეულებათა კათედრას განაგებდა, ჩემი ძმა – გაიოზი – დერმატოლოგიისა და ვენერულ სნეულებათა კათედრის დოცენტი იყო, სხვათაშორის, ჩემი ქალიშვილი, ელენე, ოჯახურ ტრადიციას აგრძელებს – იგი ეპიდემიოლოგიისა და სამედიცინო სტატისტიკის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორია.

– ორივე დისერტაცია თბილისში მოამზადეთ. ვინ იყვნენ თქვენი მასწავლებლები?

– საერთოდ, პედაგოგებში ბედი მქონდა, ჯერ სკოლაში, შემდეგ – ინსტიტუტში. დისერტაციების ხელმძღვანელები იყვნენ აკადემიკოსი ვლადიმერ ბახუტაშვილი და პროფესორი მერი გელოვანი, კონსულტანტი – გიტა კაგანი – ცნობილი მიკრობიოლოგი, ლენინური პრემიის ლაურეატი. სადოქტორო დისერტაცია მამაჩემის, პროფესორ ირაკლი ფაღავას, ნათელ ხსოვნას მივუძღვენი.

მე ტიპური პროფესორი ვარ, მიყვარს სწავლებაც და ინფორმაციის მიღებაც, სად არ ვიყავი: სტაჟირებებზე, ვმონაწილეობდი „ზაფხულის სკოლებში“ – საქართველოში, საბჭოთა კავშირში, გერმანიაში, ავსტრიასა და დიდ ბრიტანეთში, მაგრამ ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მაინც გისენის (გერმანია) უნივერსიტეტში, ნუტრიციოლოგიის კურსის გავლისას, მივიღე: დიდი მეცნიერის, ქიმიკოს იუსტუს ფონ ლიბიხის, სახლ-მუზეუმში მიგვიყვანეს და იქ გვიჩვენეს მისი „სამეცნიერო გენეალოგია“ – ტაბულაზე წარმოდგენილი იყვნენ მისი მოწაფეები, მოწაფეთა მოწაფეები, ასე ვთქვათ, სამეცნიერო შთამომავლობა, რომელთა შორის, თითქმის, 20 ნობელის პრემიის ლაურეატი გახლდათ. მეც მყავს ბევრი მოწაფე – 26 დისერტანტი მოვამზადე (საიდანაც ორი ამჟამად დეპარტამენტის ხელმძღვანელია — პროფესორი მანანა ხოჭავა და პროფესორი მაია ხერხეულიძე), ჯერჯერობით ნობელიანტი მათ შორის არავინაა, მაგრამ, ვინ იცის, იქნებ მათმა მოწაფეებმა იმარჯვონ.

– თქვენ ნაყოფიერი მკვლევარი ბრძანდებით, მრავალფეროვანი ინტერესების მქონე, 700-ზე მეტი პუბლიკაციის ავტორი, 20-მდე სამეცნიერო კრებულის რედაქტორი, მრავალი საერთაშორისო კონფერენციის ორგანიზატორი და მონაწილე, 5 საგრანტო

პროექტის ხელმძღვანელი... მთავარ შემოქმედებით მიღწევად მაინც რას მიიჩნევთ?

– პირველ რიგში, ექიმი გახლავართ და ჩემი უპირველესი მოვალეობაა დიაგნოსტიკა და მკურნალობა, განსაკუთრებით, იშვიათი დააავადების მქონე და ე.წ. არადიაგნოსტირებული ავადმყოფებისა. არ დავმალავ, ვამაყობ იმით, რომ სწორედ ასეთ ავადმყოფებს მიგზავნიან ხოლმე. ცხადია, ყოველთვის არ მიმართლებს, მაგრამ წარმატება ამ მიმართულებით საოცრად მახარებს.

რაც შეეხება მეცნიერებას, გამოვყოფდი რამდენიმე პრიორიტეტულ საკითხს, როგორც ქვეყნის, ისე, საერთაშორისო მასშტაბით, კერძოდ, კი: მიკოპლაზმური პნევმონიის კლინიკურ ასპექტებს, ლაზეროთერაპიის, პლაფერონოთერაპიის მექანიზმებისა და ეფექტიანობის საკითხებს, ბაქტერიოფაგოთერაპიის აქამდე უცნობი ასპექტების შესწავლას, კლინიკურ კვლევებში არამკაფიო ლოგიკის გამოყენების საკითხებს, ანტიბიოტიკების გამოყენების თავისებურებებს.

– თქვენი გამოცდილებიდან გამომდინარე, რა მიგაჩნიათ უმთავრესად პედაგოგიურ საქმიანობაში?

– სტუდენტს უნდა მივაწოდოთ უახლესი ინფორმაცია, ხელი შევუწყოთ პრაქტიკული და ინტელექტუალური ჩვევების გამომუშავებას (პრობლემის გადაწყვეტისა და გადაწყვეტილების მიღების), ღირსეულ მოქალაქედ ჩამოყალიბებას, კრიტიკული აზროვნების განვითარებას. რაც შეეხება, უშუალოდ, ბავშვთა და მოზარდთა მედიცინის სწავლებას, ყოველთვის ხაზს ვუსვამ იმას, რომ პედიატრობა მხოლოდ ბავშვის მკურნალობა და დიაგნოსტიკა კი არ არის, არამედ იგი ბავშვის განვითარების ხელშეწყობაცაა. პედიატრმა, როგორც ექიმმა და, ამავე დროს, მშობლისა და მასწავლებლის უპირველესმა მრჩეველმა, უნდა გააკეთოს ყველაფერი იმისთვის, რომ მომავალი თაობა იყოს ჯანმრთელი, გონიერი, გულადი, მამაცი, სახიერი, მაღალზნეობრივი და აღიზარდოს ჭეშმარიტ მამულიშვილად და პატრიოტად.

– დეპარტამენტის მიღმა რა აქტივობას ეწევით და ეწეოდით?

– ვიყავი საქართველოს მთავარი პედიატრი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს სწავლული მდივანი, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტსა და უნივერსიტეტთან არსებულ ცენტრალურ სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიებში ხელმძღვანელი, იმუნოლოგთა და კლინიკურ ალერგოლოგთა საზოგადოების თავმჯდომარე, პედიატრთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი, გერმანიის სამეცნიერო სტიპენდიატების ასოციაციის სამედიცინო განყოფილების ხელმძღვანელი, საქართველოს თავადაზნაურთა კავშირის ვიცე-პრეზიდენტი, საქართველოსა და უცხოეთში (უკრაინა, იტალია) სამეცნიერო ჟურნალების სარედაქციო კოლეგიების წევრი; ჩემი სცენარით მომზადდა ოთხი დოკუმენტური ფილმი; ვარ გენეალოგიურ-ისტორიული ხასიათის პუბლიკაციების ავტორი, ჩემი რედაქტორობით გამოიცა კრებული – „ბაღვაში“.

– ბატონო ყარამან, თქვენ მოგენიჭათ უმაღლესი აკადემიური წოდება. ახლა რა გეგმები, რა მიზნები გაქვთ?

– გაგეღიმებათ, მაგრამ ჩემი ემერიტუსობა უცხოეთში – ჩინეთში, სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობით დავიწყე, გამოვედი მოხსენებებით, დავგეგმეთ ერთობლივი პროექტები. ახლაც მყავს ორი დისერტანტი; უნდა გამოვცე სახელმძღვანელო, რამდენიმე სტატიის გამოსვლას ველოდები, მალე საერთაშორისო კონფერენციაში – Exellence in Pediatrics – მივიღებ მონაწილეობას, 3 მოხსენება მაქვს წარსადგენი. მომავალ წელს ინგლისში ვაპირებ გამგზავრებას, მოხსენება უნდა წავიკითხო ორბელთა ამბოხზე, ვემზადები ქართველოლოგიური კონგრესისთვის, ასე რომ, საქმეს რა გამოლევს. ვცდილობ, გავაგრძელო აქტიური საექიმო-სამეცნიერო-პედაგოგიურ-საზოგადოებრივი საქმიანობა.

მსურს დავასრულო გოეთეს ცნობილი გამონათქვამით – Ich bin zu alt, um nur zu spielen, zu jung, um ohne Wunsch zu sein - მე საკმაოდ ასაკოვანი ვარ, რომ მხოლოდ ვითამაშო, მაგრამ მაინც საკმარისად ახალგაზრდა, რომ ახალი სურვილები მქონდეს.

ხსოვნა

ვაღმოხდილი

ქართველ ფარმაცევტთა აკადემიურმა და სამეცნიერო საზოგადოებამ დიდი დანაკლისი განიცადა – 84 წლის ასაკში გარდაიცვალა ფარმაცევტულ მეცნიერებათა დოქტორი, ემერიტუსი პროფესორი, სოციალური და კლინიკური ფარმაციის დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელი, სამაგისტრო პროგრამა „ფარმაციის მენეჯმენტის“ ხელმძღვანელი, პროფესორი ვაჟა ერიაშვილი.

ბატონი ვაჟა, თავის პროფესიაზე უზომოდ შეყვარებული, ერთგული „მთის კაცი“, დიდი პატრიოტიც გახლდათ, რომელსაც კარგად ესმოდა ქართული სიტყვის, ტრადიციების ფასი. ქვეყნის სიყვარულით აღსავსე, ბედნიერი მიაბიჯებდა წუთისოფლის გზასავალზე, რომ არა შვილის გარდაცვალებით გამოწვეული ტრაგედია; ამ დიდმა ტკივილმა ვერ შეცვალა მისი მოყვასის სიყვარულით აღსავსე ბუნება და საყვარელ საქმესაც ბოლომდე ერთგულად ემსახურა.

პროფესორ იოველ ქუთათელაძეს, უდიდეს მეცნიერსა და პედაგოგს, რომელსაც მუდამ მადლიერებით იხსენებდა ბატონი ვაჟა, ჯერ კიდევ სტუდენტობაში შეუნიშნავს წარმოსადეგი, გონიერი, სწავლასა და პროფესიულ სრულყოფაზე ორიენტირებული ახალგაზრდა, რომელიც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის (ახლა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი) დამთავრებისთანავე დაადგა რთულ და საპასუხისმგებლო გზას; ეს გზა საბჭოთა პერიოდში, კიდევ უფრო წინააღმდეგობებით აღსავსე იყო. მისი საყვარელი პედაგოგის სახელობის – პროფესორ იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტში ნაყოფიერ მუშაობასთან ერთად მოამზადა და დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები, იყო არაერთი საერთაშორისო სამედიცინო სოციალურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი; სასწავლო, სამეცნიერო და პრაქტიკული საქმიანობის დიდი გამოცდილების მქონე, მრავალი სამეცნიერო შრომის, სახელმძღვანელოსა და მონოგრაფიის ავტორი, არაერთი მეცნიერისა და პედაგოგის გზის გამკვალავი და ხელმძღვანელი.

პროფესორი ვაჟა ერიაშვილი ვალმოხდილი წავიდა ამქვეყნიდან – ქვეყნის, ოჯახის, აღზრდილების წინაშე ვალმოხდილი, რომლის დაწყებულ საქმეს მომავალი თაობები აგრძელებენ; მისი ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება თსსუ-ის თანამშრომლების, მეგობრების და კოლეგების გულებში.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, ფარმაციის ფაკულტეტი, სოციალური და კლინიკური ფარმაციის დეპარტამენტი

ხუტა პაჭკორიას გახსენება

კიდევ ერთი საჩინო მედიკოსი – ბატონი ხუტა პაჭკორია – შეუერთდა მარადისობას.

ბატონი ხუტა პაჭკორია დაიბადა 1946 წელს ზუგდიდში. 1971 დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი, სამი წელი რაიონში განაწილებით იმუშავა, ხოლო 1975 წლიდან სიცოცხლის ბოლო დღემდე, მშობლიური Alma Mater-ის – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ძირითად კლინიკურ ბაზაზე – 6. ყიფშიძის სახელობის რესპუბლიკურ საავადმყოფოში. არჩეულ დარგს ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში ემსახურა. რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში სტუდენტებს ასწავლიდა ჰოსპიტალური თერაპიის კათედრაზე, შემდეგ იყო საავადმყოფოს ერთ-ერთი წამყვანი გასტროენტეროლოგი. აირჩიეს ფაზისის აკადემიის წევრად, მედიცინის ისტორიკოსთა, ინტერნისტთა საერთაშორისო ასოციაციის წევრად, დაჯილდოვდა გრიგოლ მუხაძის საიუბილეო მედლით. აქტიურად თანამშრომლობდა „სამედიცინო გაზეთთან“ და ჟურნალთან - „ავერსი, ჯანმრთელი სიცოცხლე“. მისი ავტორობით, თითქმის, 200 ნაშრომი გამოქვეყნდა, მათ შორის, – ათამდე მონოგრაფია.

მოგონებას შორიდან დავიწყებ: მე და ხუტა თანაკურსელები ვიყავით. 1965 წელს ჩავირიცხეთ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში (ახლანდელი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი), სამკურნალო ფაკულტეტზე. უნიკალური ნაკადი იყო, მთლიანად ოქროს მედალოსნებით დაკომპლექტებული და ამ ფონზეც ხუტა აკადემიური წარმატებებით და მეცნიერებისადმი ინტერესით გამორჩეული გახლდათ... გამოთქმა ,,ლომის ბოკვერს კლანჭებითაც იცნობენო“, მასაც მიესადაგებოდა.

კლინიკური სკოლა შინაგან მედიცინასა და, კერძოდ, გასტროენტეროლოგიაში, პროფესორ კოტე ვირსალაძისა და პროფესორ ბაადურ რაჭველიშვილის ხელმძღვანელობით გაიარა. ამ უკანასკნელმა მედიცინის ისტორიისადმიც გაუღვივა ინტერესი.

კარგი ექიმი გახლდათ. ყველაზე სწორად კოლეგები აფასებენ კოლეგას. ხშირად გამიგზავნია მასთან ავადმყოფები, ნათესავებიც. რჩევები ხომ თავისთავად, მაგრამ განსაკუთრებულ გულისხმიერებასაც იჩენდა. როგორც ამბობენ, სიტყვითაც არჩენდა.

კარგი პროფესიონალისთვის საჯილდაო ქვაა რთული და ნაკლებად ცნობილი დაავადების გამოცნობა, მისი მიზანდასახული მკურნალობა და, შესაძლებლობის ფარგლებში, წარმატების მიღწევა. ძალიან დაინტერესებული იყო ხუტა ამ მიმართულებით. სულ ძიებაში გახლდათ. 25-30 უიშვიათესი შემთხვევა აქვს აღწერილი. ჩვევად ჰქონდა – სტატიაში უამრავ თანაავტორს ჩაწერდა ხოლმე. ვკითხე ერთხელ: ავადმყოფთან სიახლოვეს რომ გაივლიდა, იმასაც საავტორო უფლებას აძლევ-მეთქი? სამედიცინო თემატიკაზე შექმნილი ფილმებიდან ერთ დროს ძალზე პოპულარული იყო სერიები დოქტორ ჰაუსსა და დოქტორ რიხტერზე, უბადლო დიაგნოსტებზე. ჩვენს სინამდვილეში, მეოცე საუკუნეში, ასეთები იყვნენ ბატონები – გოგი მხეიძე და ლევან ანჯაფარიძე. რაღაცნაირად, ხუტა მათ ემსგავსებოდა ამ მხრივ. მახსოვს, ოციოდე წლის წინ რამდენიმე კონფერენცია ჩავატარე იშვიათ დაავადებებზე, უცხოელებიც მონაწილეობდნენ. ერთმა მოხსენება წაიკითხა გასტროენტეროლოგიურ პათოლოგიაზე, ხუტამ ჰკითხა: მოყვანილი შემთხვევები თქვენი საკუთარი არის თუ ლიტერატურიდან აღებულიო. მომხსენებელი შეცბა, – ეს მიმოხილვა არისო; ხუტამ ჩაიცინა – მე კი თვითონ გამოვავლინეო.

დიდია ხუტა პაჭკორიას ღვაწლი ქართული მედიცინის თვალსაჩინო წარმომადგენელების წარმოჩენაში – კ. ვირსალაძე, ბ. რაჭველიშვილი, ნ. აბაშიძე, ე. ფიფია, მ. შენგელია, თ. ახმეტელი, ს. ხუნდაძე, ბ. ჩიქოვანი, ვ. ალადაშვილი, ნ. ბარნაბიშვილი, შ. მიქელაძე, რომელი ერთი ვთქვა... ბევრ მათგანს პირადად ვიცნობდი, ხუტა გვიცოცხლებდა მათ სახეებს, ახალგაზრდებს კი სამაგალითო პიროვნებებს აცნობდა. საერთოდ, კალამუხვი მოღვაწე იყო – მონოგრაფიები და სტატიები, ძირითადად, გასტროენტეროლოგიას ეხებოდა, გარდა პერსონალიებისა, წერდა კოლხეთის ისტორიასა და კოლხურ მედიცინაზე, შესანიშნავი ესეების ავტორია გალაკტიონსა და ოლღა ოკუჯავაზე, ილიასა და მის მკურნალ ექიმ ნიკოლოზ ვაჩნაძეზე. ფართო განათლების კაცი იყო, მჭევრმეტყველი, მისი მოხსენებები ქართულ ლიტერატურასა და ფილოსოფიურ საკითხებსაც ეხებოდა. ცალკე უნდა აღინიშნოს, რომ ხუტა იყო ხელოვნების უბადლო მცოდნე და გემოვნებიანი შემფასებელი.

წავიდა ბატონი ხუტა, მისი სახე დიდხანს დარჩება კოლეგებისა და ახლობლების ხსოვნაში და, რაც მთავარია, მან სამუდამოდ დაიმკვიდრა ადგილი ქართული მედიცინის ისტორიაში.

პროფესორი ყარამან ფაღავა

ხუტა პაჭკორიას ყაიდის ადამიანები იშვიათად იბადებიან. სამწუხაროდ, – ძალიან იშვიათად. მათი სულიერი პორტრეტი თეთრია, გამჭვირვალე, შეუბღალავი... მაგრამ, ამ სისპეტაკის უკან ნათელი გონებაა, უმაღლესი ზნეობა და პატიოსნება, თუმცა, უმეტესად, დიდი ტანჯვაცაა, სულისა და ხორცის ტკივილი, გასაკვირი უმადურობა, დაუფასებლობა და იმედგაცრუება...

მიუხედავად ამისა, ეს ადამიანები არ დრკებიან, ჯიუტად აგრძელებენ თავის საქმეს, წინ მიდიან, იბრძვიან იმ ხერხებით, რომელიც ხანდახან მხოლოდ მათთვისაა გასაგები და მისაღები: ქრისტიანული მიმტევებლობითა და ადამიანთა სიყვარულით გაჯერებული. საკუთარ სიცოცხლეს უმაღლეს ღირებულებებს, სამშობლოსა და თავის საქმეს უძღვნიან.

ამ ცხოვრებასა და ბრძოლას მავანნი ხედავენ, მაგრამ არ იმჩნევენ, ალბათ, ეშინიათ, რომ ცხოვრების ასეთი წესი სავალდებულოდ არ იქცეს და მაშინ მათი ადგილი ამქვეყნად, ეგებ, აღარც დარჩეს. ხუტასნაირი ადამიანები კი თავის საქმესა და არჩეულ გზას გაკერპებულები მიუყვებიან და სიკეთის აღმართს ნება-ნება კეცავენ.

ხუტა ოცდაათი წლის წინ გავიცანი: ერთ მშვენიერ დღეს შემოვიდა თეთრი ხალათით, კეთილი და რაღაც კარგის მომლოდინე ღიმილით. მედიცინის ისტორია აინტერესებდა... უფრო სწორად, კი არ აინტერესებდა, – უაღრესად ღრმად იცოდა: ქართულიცა და უცხოურიც. გამოხატულად საკუთარი პოზიცია ჰქონდა, რომელსაც, როგორც ნიჭიერ ხალხს სჩვევია, ადვილად ვერ ელეოდა, მაგრამ თუკი გასაღებს მოუძებნიდი და ლოგიკურ, მეცნიერულ საბუთს დაუდებდი, უყოყმანოდ დაგთანხმდებოდა. საზღვარგარეთის მოწინავე სამეცნიერო წრეებთან თანამშრომლობა ჩვენში სამედიცინო-ჰუმანიტარული მეცნიერებების განვითარების უცილობელ პირობად მიაჩნდა და ჩვენ სამუდამო მეგობრობით დავკავშირდით. ბევრი სტატია დაიწერა ერთობლივად, უფრო მეტი იგეგმებოდა, ორ მეტად მნიშვნელოვან მონოგრაფიასაც ვეშურებოდით, მაგრამ ხან ხუტა „დამეკარგებოდა“ ხოლმე, ხან მე გამექცეოდა ყურადღება სხვა მიმართულებით.

ბრწყინვალე კლინიცისტი იყო. თუკი გასტროენტეროლოგი (საერთოდ, თერაპევტი) დამჭირდებოდა, სხვის ძებნას არასოდეს დავიწყებდი. მისი კლინიკური მიდგომა და ლოგიკა უზადო იყო, განსაცვიფრებელი სიღრმითა და სიფართოვით.

ხშირად ავადმყოფობდა, მაგრამ მისი ასეთი უეცარი და მოულოდნელი წასვლით სახტად დავრჩი... ტკივილამდე მისული სიცარიელე ვიგრძენი. ახლაღა ვაცნობიერებ, რა დიდი ადგილი ეჭირა მას ჩემს ცხოვრებაში, რა დიდი ძალა და იმედი იყო ამ ტანმორჩილ, ხშირი ავადმყოფობით ვნებულ ადამიანში.

იმედი მაქვს, რომ ჩვენს ერთად დასახულ გეგმებს როგორღაც ბოლომდე მივიყვან. შეიძლება, ის ისეთი კარგი ვეღარ იყოს, ხუტას მონაწილეობით რომ იქნებოდა, მაგრამ ჩვენი სახელები კიდევ ერთხელ გამოჩნდება ერთად და ესეც ჩვენი მეგობრობის საუკუნო გაგრძელება იქნება.

აკადემიკოსი რამაზ შენგელია

მეათე საიუბილეო თეატრალურ ფესტივალ „ნილაბზე“ „ჰიგია“ კვლავ ყველაზე მეტ ნომინაციაშია გამარჯვებული

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კულტურის ცენტრთან არსებული თეატრი „ჰიგია“ 2 ათეულ წელზე მეტია მაყურებელს საინტერესო სპექტაკლებს სთავაზობს. მიმდინარე წლის 7-დან 14 დეკემბრის ჩათვლით, თსსუ-ში მეათედ გაიმართა თბილისის მოყვარულ სტუდენტურ თეატრთა საერთაშორისო ფესტივალი „ნილაბი-2023“, რომელშიც ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა უნივერსიტეტისა და უცხოეთის ქვეყნების სტუდენტური თეატრალური დასები მონაწილეობდნენ.ფესტივალის საზეიმო გახსნაზე დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს და ფესტივალის მონაწილეებს წარმატებები უსურვეს თსსუ-ის რექტორმა, პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ და ახლად არჩეულმა რექტორმა, პროფესორმა ირაკლი ნატროშვილმა (რომელიც უფლებამოსილებას განახორციელებს 2024 წლის 13 თებერვლიდან).

ფესტივალის ჩატარების იდეა თეატრ „ჰიგიას“ რეჟისორს, თსსუ-ის ჰისტოლოგიის, ციტოლოგიის და ემბრიოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებულ პროფესორს, ნათია გუჯაბიძეს, ეკუთვნის. როგორც მან აღნიშნა, ყოველი ახალი წამოწყება შეუძლებელია მხარდამჭერის გარეშე; რეჟისორი მადლიერებით საუბრობს თსსუ-ის რექტორის, პროფესორ ზურაბ ვადაჭკორიას და ფესტივალის სპონსორის – თბილისის მერიის თანადგომაზე, რის გარეშეც წარმოუდგენელი იქნებოდა ფესტივალის მაღალ დონეზე ჩატარება; ფესტივალი საერთაშორისოა და ჩვენი ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლების თეატრალურ კოლექტივებთან ერთად, უცხოეთის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტური თეატრალური დასებიც მონაწილეობენ, დროის შესატყვისი თემებით და მრავალფეროვანი რეპერტუარით.

ფესტივალს აფასებდა კომპეტენტური ჟიური, მსახიობები: ეკა მჟავანაძე, კახა მიქიაშვილი, თამუნა ნიკოლაძე, მალხაზ ქვრივიშვილი, ზუკა პაპუაშვილი, გუგა ქაცარავა, ანა ზამბახიძე, სალომე შარვაძე; რეჟისორები: გიორგი კაშია და ედმონდ მინაშვილი.

თეატრალური წარმოდგენების ზღაპრულ სამყაროში მაყურებელმა საინტერესო რეჟისორული ნამუშევრები და მსახიობთა მიერ სცენაზე ორიგინალურად შესრულებული სპექტაკლები იხილა: „სეილემის პროცესი“ (საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი GIPA); „ძუნწი“ (თბილისის სტუდენტური დასი „სივრცის თეატრი“); „ობლები“ (თბილისის სტუდენტური დასი „არტ-დრონი“); „12 განრისხებული მამაკაცი“ (საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი — SEU); „ბრიყვთა ვახშამი“ (ბათუმის გრ. რობაქიძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი); „ოსვენციმი“ (თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი თეატრი „ჰიგია“); „The Mask Ma Fausta’’ (ვარშავის უნივერსიტეტი).

ვესაუბრეთ თეატრ „ჰიგიას“ დამაარსებელსა და რეჟისორს, ნათია გუჯაბიძეს:

,,სპექტაკლ „ოსვენციმის“ დადგმამდე, პოლონეთში მოგზაურობისას, მოვინახულე ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკი; გიდის მონათხრობით, რომელიც მითს უფრო ჰგავს, ვიდრე რეალობას, ოსვენციმში, ადამიანთა ტანჯვა-წამების ადგილსამყოფელში, სადამსჯელო რეჟიმს შეწირული უდანაშაულო, მართალი ადამიანები, სიკვდილის მოლოდინშიც ინარჩუნებენ ღირსებას, სიყვარულს, ერთმანეთისადმი ზრუნვას. ბანაკში კონცერტის ჩასატარებლად შესულმა მომღერალმა მარლენ დიტრიხმა (ანანო სიდამონიძე) შეძლო, მესამე რაიხის მიერ მორიგი ექსპერიმენტის ჩასატარებლად განწირული ებრაელი ტყვეებით სავსე მატარებლის სამშვიდობოს გაყვანა, რითაც უამრავი ადამიანი გადაარჩინა საშინელ სიკვდილს. კაცობრიობისთვის უმძიმეს პერიოდებში, სწორედ ასეთი ზნეობრივი მაგალითები და სიკეთე წარმართავს სამყაროს; მათ, თავგანწირვის და რისკის ფასად, შეუძლიათ ადამიანთა ბედის შეცვლა. მონაყოლმა იმდენად შემძრა, რომ მისი სცენაზე გადატანა განვიზრახე, ჩვენი დასის ერთ-ერთმა ნიჭიერმა წევრმა, დუდუ მოდებაძემ, ჩემი მონათხრობის საფუძველზე დაწერა სცენარი; მხატვარი - ხვიჩა სებუა; მუსიკალური გაფორმება - გიორგი სანიკიძე, სოფიო ცინცაძე; ქორეოგრაფი - არჩილ სოლოღაშვილი. სპეკტაკლში დასის 40 წევრი მონაწილეობს და თითოეული მათგანის მაქსიმალური ძალისხმევით, გუნდურობის პრინციპით, შევძელით სასურველი შედეგის მიღწევა. „ჰიგიას“ მიერ მოპოვებულ წარმატებებში მნიშვნელოვანია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის, სტუდენტური თვითმმართველობის და კულტურის ცენტრის წვლილი; მადლობას ვუხდი მათ ამ თანადგომისთვის“.

სპექტაკლში მონაწილე მსახიობებმა: გიორგი სანიკიძემ, გიორგი ბრეგაძემ, ტატო ზუმბაძემ, ოთო მაგრაქველიძემ, თემურ ჩხეიძემ, მოლინა იოსელიანმა, ნატა სურმავამ, ნინო ლოსაბერიძემ, ანა ბუქურმა, ფეფე გოგნაძემ, დუდუ მოდებაძემ, ანანო სიდამონიძემ, ბახვა გელაშვილმა, ხვიჩა სებუამ, ვახო კიკნაძემ, საბა ილურიძემ, გური მელაძემ, ლუკა ილურიძემ, საბა გველესიანმა, მარიამ ახალაიამ, მარიამ ფანცულაიამ, ინა ნიქაბაძემ, ელენე უჯმაჯურიძემ, კატო ჭანჭალეიშვილმა, სალი ხუტაშვილმა, თათა პაპაშვილმა, მარიამ დემურიამ, ანანო ბიბილაშვილმა, სალი საგინაშვილმა, ნატა გოროზიამ, თეკლა ხუჯაძემ, მარიამ კვანტალიანმა, ნია ყალიჩავამ, ქეთო ქადაგიშვილმა, სალომე მიქაძემ, მარიამ ჭონქაძემ მონდომებითა და სამსახიობო ოსტატობის ერთობლიობით დასამახსოვრებელი და შთამბეჭდავი პერსონაჟთა გალერეა შექმნეს.

სტუდენტმა მსახიობებმა შეძლეს რეჟისორის მთავარი სათქმელის მაღალოსტატურად გადმოცემა და მაყურებელს სანახაობრივად ცრემლნარევი ემოციით დატვირთული სპექტაკლი აჩვენეს. ფესტივალზე თსსუ-ის თეატრმა „ჰიგიამ“ 6 ნომინაციაში გაიმარჯვა.

14 დეკემბერს „ნილაბი-2023“-ის დახურვის საზეიმო ცერემონიალზე, გამარჯვებულებს 15 ნომინაციაში სპეციალური ჯილდოები გადაეცათ:

გიორგი სანიკიძეს ნომინაციაში – „ნილაბი-2023“-ის აღმოჩენა (თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი); ლუკა აბესაძეს ნომინაციაში – მამაკაცის მთავარი როლის საუკეთესო შემსრულებელი (საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი); ფოტინე ჩილაჩავა ნომინაციაში – ქალის მთავარი როლის საუკეთესო შემსრულებელი (არტ-დრონი); ლაშა მიქაშავიძეს ნომინაციაში – მამაკაცის მეორეხარისხოვანი როლის საუკეთესო შემსრულებელი (ბათუმის გრიგოლ რობაქიძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი); დეა შუკაკიძეს ნომინაციაში – ქალის მეორეხარისხოვანი როლის საუკეთესო შემსრულებელი (საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი); ბახვა გელაშვილს ნომინაციაში – მამაკაცის ეპიზოდური როლის საუკეთესო შემსრულებელი (თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი); ბაჩი ჟულაკაშვილს ნომინაციაში – მონაწილეთა რჩეული (საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი); სალი ხუტაშვილს ნომინაციაში – ქალის ეპიზოდური როლის საუკეთესო შემსრულებელი (თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი); კრიდტოფ ოლეჯინსკის ნომინაციაში – მამაკაცის დრამატული როლის საუკეთესო შემსრულებელი (ვარშავის უნივერსიტეტი); ფეფე გოგნაძეს ნომინაციაში – ქალის დრამატული როლის საუკეთესო შემსრულებელი (თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი); დავით ჯგერენაიას ნომინაციაში – კაცის კომედიური როლის საუკეთესო შემსრულებელი (სივრცის თეატრი); ვიქტორია ბერანძე ნომინაციაში – ქალის კომედიური როლის საუკეთესო შემსრულებელი (სივრცის თეატრი); ქალაქ თბილისის მერიის რჩეულები გახდნენ: თორნიკე კოპალეიშვილი (საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი) და მოლინა იოსელიანი (თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი); „რეჟისორ გოგი თოდაძის საპატიო პრიზის“ გამარჯვებული გახდა დუდუ მოდებაძე (თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი). ფესტივალის ორგანიზატორის, ASTA-ს რჩეული გახდა რაჟდენ ლაღაძე.

გავესუბრეთ ჟიურის წევრს, მსახიობს, პედაგოგს და ტელეწამყვანს, თამუნა ნიკოლაძეს, რომელიც ფესტივალის დაარსების დღიდანვე თანამონაწილე და შემფასებელია იმ დიდი თეატრალური სანახაობის, რომელსაც თსსუ-ში ჩაეყარა საფუძველი: „ყოველ წელს მიწვევენ ჟიურის წევრად, თუმცა, ეს წელი ჩემთვის განსაკუთრებით სასიხარულო გამოდგა, რადგან ჟიურის საპატიო წევრი გავხდი და შესაბამისი პრიზიც გადმომეცა. როგორც მსახიობი და პედაგოგი, ვიტყოდი, რომ ეს ფესტივალი მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისითაც, რომ იგი ქართული კულტურის და, რაც მთავარია, თეატრის ირგვლივ სხვადასხვა პროფესიის ადამიანების გაერთიანებას ემსახურება; მადლობას ვუხდი თეატრ „ჰიგიას“ რეჟისორს, ფესტივალ „ნილაბის“ დამაარსებელს, ნათია გუჯაბიძეს, ფესტივალის ორგანიზატორებს, რომელთა წვლილიც დიდია ფესტივალის მაღალ დონეზე ჩატარებაში. წლევანდელ, საიუბილეო, ფესტივალზე გამოვყოფდი ორ წარმოდგენას – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის არაჩვეულებრივი თეატრის, „ჰიგიას“ სპექტაკლს – „ოსვენციმი“ და საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის სპექტაკლს – „12 განრისხებული მამაკაცი“.

დეკემბრის თვე ჩემთვის განსაკუთრებით სასიხარულოა, რადგან იგი ამ საინტერესო ფესტივალს უკავშირდება, რომლის საუკეთესო მასპინძელი ყოველ წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტია.“

ფესტივალი „ნილაბი- 2023“-ის ფარგლებში მონაწილე მოყვარულ მსახიობებს მსახიობმა გოგა პიპინაშვილმა მასტერკლასი ჩაუტარა და აზიარა სწავლების ახალ მეთოდებს, რომელიც, როგორც თვითონ მსახიობმა აღნიშნა, არის რადიკალურად განსხვავებული აქამდე არსებულ სწავლებებს შორის.

ვულოცავთ „ჰიგიას“ დამსახურებულ გამარჯვებას და ახალ წელს! მომავალშიც არაერთხელ ესახელებინოს ჩვენი Alma Mater-ი უამრავი წარმატებით!

მანანა ფხალაძე

წინასაახალწლო საღამო



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კულტურის ცენტრმა (დირექტორი ბადრი მაჭავარიანი – ეროვნული და საერთაშორისო ფესტივალების ლაურეატი, ქართული ქორეოგრაფიის ორდენ „ამაგდარის“ და იტალიის კულტურის პრემიის მფლობელი) მიმდინარე წლის 22 დეკემბერს, ტრადიციულად, ლამაზი საღამო აჩუქა მაყურებელს.

კონცერტის მონაწილეებმა: თსსუ-ის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა (მთავარი ქორეოგრაფი – დავით უგრეხელიძე, ქორეოგრაფი – ინეზა კუპრეიშვილი, მაესტრო – დავით რატიანი), გოგონათა ტრადიციული მუსიკისა და სიმღერის ანსამბლმა „დეკამ“ (ხელმძღვანელი დავით რატიანი), თანამედროვე და ლათინურ-ამერიკული ცეკვების ანსამბლმა „ვეგამ“ (ხელმძღვანელი ია კვირიკაშვილი), ვოკალურმა ანსამბლმა (ხელმძღვანელი მარიამ არველაძე), კლასიკური მუსიკის ჯგუფმა (მაესტრო გოდერძი ჩიტაიშვილი) სტუმრების – თსსუ-ის ხელმძღვანელობის, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტობის მხურვალე აპლოდისმენტები დაიმსახურეს; თითოეული მონაწილის ძალისხმევით საღამო ხომ სილამაზის, სილაღის, ხელოვანების ფეიერვერკად იქცა.

დარეჯან კომლაძე

„სამედიცინო გაზეთის“ რედაქცია
ვაჟა-ფშაველას გამზირი №33, ოთახი №600, ტ.: 254-24-64 რედაქტორი ლელა მუკბანიანი
კორესპონდენტები: მანანა ფხალაძე ტ.:555 29 98 27 დარეჯან კომლაძე ტ.:558 17 08 47 ნატო ბოლქვაძე ტ.:555 28 28 97
ელ-ფოსტა newspaper@tsmu.edu